საერთო გაზეთი

№28 (439) • 19 ივლისი, 2017 წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

მერაბ შათირიშვილი: კახა კალაძე თბილისის ყველაზე წარმატებული მერი იქნება!

ირაკლი კორძაია „რუსთავი-2“-ის „საარსებო ბიუროს“ აღსარება ჩააბარა

ქართველთა მარში

ტენდერები და „ნაცმოძრაობა“, რომელიც „ატკატში“ გვერგო

ვინ და რატომ უქმნის პრობლემას უსახლკაროთა დასახმარებლად შექმნილი პროექტების განხორციელებას?

როგორ გამოვიცნოთ რუსეთის აგენტი?

ირაკლი კორძაიამ „რუსთავი-2“-ის „საარსებო ბიუროს“ აღსარება ჩააბარა

სამართლიანობისთვის და დემოკრატიისთვის „მებრძოლ“ ირაკლი კორძაიას მხოლოდ ოთხი წლის შემდეგ გაახსენდა, რომ ასევე სამართლიანობისთვის და დემოკრატიისთვის „მებრძოლი“ და „ტანჯული“ ვანო მერაბიშვილი ოთხი წლის წინათ ციხის საკნიდან მართლაც გაიყვანეს.

ოთხი წელი ეწამა ირაკლი, ოთხი წელი გულში ინახავდა ამ საშინელ საიდუმლოს და მაინც არ შედრკა, მაინც არ გატყდა და სანამ პარიზში არ დაივანა, მანამდე არაფერი უთქვამს, მერე კი მოხსნა გუდას პირი და ოდესღაც თავისი საყვარელი მინისტრიდან რომ დაიწყო, პრემიერ-მინისტრის ჩათვლით, ყველა რიგრიგობით ჩაუშვა.

— ჩაშვება და ჩაბოზება რას მიქვიან, ბატონო. ჩაშვება დაჩაბოზება კი არ არის ეგ, რაც კორძაიამ გააკეთა. ეს არის ჩვენების მიცემა დანაშაულის გამოსავლენად, რაც ყველა წესიერი მოქალაქის

მოქალაქეობრივი ვალია — შემომედავება, ალბათ, იურისპრუდენციაში გაწაფული რომელიმე ნაცი ან ნანაცარი.

ვერა და ვერ მივიღებ ამ არგუმენტს.

წესიერი მოქალაქეები ასე არ იქცევიან! წესიერი მოქალაქეები ოთხი წელი კი არ მალავენ დანაშაულის დამადასტურებელ ფაქტს, არამედ დაუყოვნებლივ ცხადდებიან იქ, სადაც ჯერ არს და ყველაფერს, რაც იციან ამა თუ იმ დანაშაულის შესახებ, გულწრფელად და პატიოსნად ყვებიან.

რა ვიფიქროთ ჩვენ ახლა ირაკლი კორძაიას საქციელის შესახებ?

ოთხი წელი იმიტომ დუმდა, რომ დუმილის სანაცვლოდ ვიღაც სოლიდურ თანხას უხდიდა?

თუ ეს ასე არ იყო, მაშინ რატომ ალაპარაკდა ახლა, ოთხი წლის შემდეგ.

იქნებ, ახლა გადაუხადა ვიღაცამ „მაყუთი“ აქამდე დამუნჯებულ კორძაიას და იმიტომ აჭიკჭიკდა?

არა, კი არ აჭიკჭიკდა, აბლუკუნდა, მაგრამ ბლუკუნშიც იხდიან ხოლმე ფულს, თუ ეს ბლუკუნი რაღაც მიზნის მისაღწევად საჭირო და სასარგებლო საქმეს აკეთებს.

ხუთჯერ დაატრიალა „რუსთავი-2“-მა ირაკლი კორძაიას ინტერვიუ — უსმინეთ, რა გამაოგნებელ ინფორმაციას გვაწვდის ყოფილი მაღალჩინოსანი. ვიღაც-ვიღაცებს რომ არ სჯეროდათ, აგერ მოწმე ადასტურებს, რომ მერაბიშვილი საკნიდან ნამდვილად გაიყვანესო.

ერთხელ ვუსმინე, მეორედ ვუსმინე, მესამედაც გადავახვიე და ყურადღებით და დაკვირვებით ვუსმინე და, ჰოი, საოცრებავ, იმ უტყუარ დასკვნამდე მივედი, რომ ბატონი კორძაია საერთოდ არანაირი მოწმე არ არის და რასაც ის ყვება, ეს უბრალო ჭორაობაა და არა მოწმის ჩვენება.

მოწმე იმ ადამიანს შეიძლება ვუწოდოთ, რომელიც თვითონ შეესწრო და საკუთარი თვალით ნახა რაღაც ფაქტი.

კორძაია კვესიტაძისთვის მიცემულ ინტერვიუში არსად არ ამბობს, რომ საკუთარი თვალით ნახა, როგორ გაიყვანეს საკნიდან მერაბიშვილი. ის ხაზგასმით იმეორებს ერთსა და იმავეს, რომ მან ეს ამბავი სხვებისგან მოისმინა.

ჩვენც, რიგითმა მოქალაქეებმაც, საინფორმაციო საშუალებებიდან მოვისმინეთ, რომ მერაბიშვილი საკნიდან გაიყვანეს, მაგრამ ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ მოწმეებად გამოვდგებით?

სხვებისგან გაგონილ ამბებს კორძაია ისე ყვება, თითქოს თვითონ ენახოს ეს ყველაფერი.

— მერაბიშვილი გენერალურ პროკურორთან ფარცხალაძესთან წაიყვანესო, — ისე იტყვის, თითქოს თვითონ მიაცილა მერაბიშვილი ფარცხალაძის კაბინეტთან.

რა იცით, თქვენ, პატივცემულო, სად წაიყვანეს მერაბიშვილი, იქნებ ფარცხალაძეს კი არა კოჭოიას მიჰგვარეს, ან იმ ყავარჯნიან არაკაცს, მერაბიშვილს კაცების გამაუპატიურებლის შტატზე რომ ჰყავდა აყვანილი?

— ეს ამბავი რომ გავიგე, ვიკითხე, რატომ ვებრძვით მერაბიშვილს მერაბიშვილის მეთოდებითო — ბრძანებს სამართლიანი და წესიერი კორძაია.

მერაბიშვილისთვის მერაბიშვილის მეთოდებით ანგარიშსწორებაზე საუბარი მაშინ იქნებოდა სწორი, ის ვინმეს დუბინკით ან ნატურალური წესით გაეუპატიურებინა, გაელახა, ეწამებინა, ეწვალებინა.

აი, ეგ იყო მერაბიშვილის მეთოდი.

მსგავსი არაფერი მომხდარა...

მაშინ რა მერაბიშვილის მეთოდებზე ლაპარაკობ, კორძაია?

— ყველამ იცოდა მერაბიშვილის გაყვანის ამბავი... მერე დაიწყეს ფიქრი, როგორ დაემალათ ეს ფაქტი... სწორედ ამის გადასაფარად დარიგდა უზარმაზარი პრემიებიო, — ამბობს კორძაია.

თუ მართლა ამის გადასაფარად დარიგდა პრემიები, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ კორძაიასაც მისცემდნენ პრემიას.

აბა, ამხელა დეპარტამენტის უფროსს უპრემიოდ ხომ არ დატოვებდნენ?

მიცემით კი მისცემდნენ, მაგრამ წესიერი კორძაია როგორ იკადრებდა ამ სათაკილო პრემიის აღებას?

როგორც ამბობენ, მშვენივრად უკადრია თურმე...

ერთი წლის წინათ კორძაია აცხადებდა: მთელი ერთი წელი ვაკვირდებოდი სოზარ სუბარს. ეს არის კაცი, რომელიც თანამდებობას არ შეუცვლია და იმ უბრალო ადამიანად დარჩა, როგორიც იყო თავიდანვეო.

— ცნობილია, რომ თქვენ მეგობრობა გაკავშირებდათ ბატონ სუბართან და, ალბათ, ამიტომ მალავდით ამ ამბავსო — წაეშველა ჟურნალისტი დაბნეულ კორძაიას, რომელიც ვერა და ვერ ახერხებდა, დამაჯერებელი პასუხი გაეცა მარტივ კითხვაზე — რატომ მალავდა იგი მთელი ოთხი წლის განმავლობაში მერაბიშვილის გაყვანის ამბავს და რატომ ალაპარაკდა მაინცდამაინც ახლა?

— ახლა იმიტომ ავლაპარაკდი, რომ ქვეყანაში სიტუაცია გაუარესდაო, — უპასუხა კორძაიამ.

ნახეთ, როგორი პატრიოტია ეს კორძაია და როგორ ზრუნავს ქვეყანაზე. რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ უყოყმანოდ დაასმინა მთელი დემოკრატიული თანამეგობრობის წინაშე — საქართველო მართლა დემოკრატიული ქვეყანა არ გეგონოთ, იქ ადამიანებს საკნებიდან იტაცებენ და ამის შესახებ ჩემმა მეგობარმა მითხრაო.

როგორი პატრიოტია კორძაია და როგორო ერთგული მეგობრობა იცის, ამ ფაქტიდანაც კარგად ჩანს და ამაზე საუბრის გაგრძელება არც ღირს...

კორძაიამ არ დაიზარა და გია უდესიანს მის მიერ ადრე წაყენებული ბრალდება ხარძიანის მკვლელობასთან დაკავშირებით დიდსულოვნად „მოუხსნა“.

უდესიანს კი მოუხსნა, მაგრამ, სმაგიეროდ, ხელისუფლებას გადაბარა — ხარძიანის მკლვლელობაში ხელისუფლებაა დამნაშავეო.

რა უნდა ირაკლო კორძაიას, რა მიზანი ამოძრავებს?

რა უნდა და, ეტყობა, პოლიტიკური დევნილის სტატუსზე „ჩალიჩობს“ და ოღონდ ეს დიადი მიზანი აისრულოს, მზად არის, ყველაფერი იკადროს.

თუ ეს ოცნება აისრულა კორძაიამ, გვეყოლება ერთი „პოლიტიკური დევნილი“ პარიზში და ერთიც „პოლიტპატიმარი“ მერაბიშვილი — საქართველოში.

ვითომ სიმართლისთვის მებრძოლი რაინდი ირაკლი კორძაია სულელი არ არის, რომ არ ესმოდეს, თუ ვის წისქვილზე ასხამს წყალს ამ თავისი „აღიარებითი“ ჩვენებით.

ბოროტების რეანიმაციის, მკვლელების, სადისტების, ყაჩაღების შემზარავი დანაშაულების „გათეთრების“ და მიფუჩეჩების მცდელობაა ის, რაც ირაკლი კორძაიამ გააკეთა და ასეთი იარლიყით იცხოვრებს იგი ამიერიდან.

როგორც არაერთხელ ითქვა, არ არსებობს არანაირი მტკიცებულება იმისა, რომ მერაბიშვილი საკნიდან გაიყვანეს, მაგრამ, მოდით, ერთი წუთით დავუშვათ, რომ გაიყვანეს.

გაიყვანეს და ისევ ისეთი შემოიყვანეს, როგორიც გაიყვანეს. საღსალამათი, დაუზიანებელი და ხელუხლები.

თუ ეს ისეთი თემაა, რომელიც 4 წელი მუდმივად უნდა ტრიალებდეს საინფორმაციო საშუალებებში, პოლიტიკურ წრეებში, ევროპის სასამართლოებში, ათასი ჯურის უფლებადამცველთა განცხადებებში, მაშინ რატომ არის ნაკლებად რეზონანსული იმ ადამიანთა საქმეები, რომლებიც სახლებიდან და საკნებიდან გაიყვანეს და უკან არავის შემოუყვანია — აწამეს, მოკლეს, დაასახიჩრეს, უგზოუკვლოდ გააქრეს და ამ საქმეების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე და ორგანიზატორი, უამრავ ადამიანს თუ დავუჯერებთ, ვანო იყო, მერაბიშვილი, რომელიც ახლა პოლიტპატიმრობაზე დებს თავს და ეს კორძაია თუ სხვა კორძაიები, პირდაპირ თუ ირიბად, მხარს უჭერენ, ეხმარებიან, ამხნევებენ, გვერდით უდგანან.

შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ ირაკლი კორძაიამ აღსარება სწორედ „რუსთავი-2“-ის „საარსებო ბიუროს“ ჩააბარა და აღსარებასთან ერთად ჩააბარა ყველა ის უმთავრესი ნიშან-თვისება, რასაც ადამიანი თვალისჩინივით უნდა უფრთხილდებოდეს...

გიორგი გამეზარდაშვილი

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი ჯვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აგლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

დარწმუნებული ვარ, კახა კალაძე თბილისის ყველაზე წარმატებული მერი იქნება!

ბიძინა ივანიშვილი აბსოლუტურად სწორად იქცევა, რომ ამ არჩევნებზე არ აქტიურობს, თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მან „ქართული ოცნების“ მიმართ პასუხისმგებლობა მოიხსნა

„საერთო გაზეთის“ სტუმარია მწერალი მერაბ შათირიშვილი.

— ჩვენ 90-იანი წლებიდან ნებსით თუ უნებლიეთ, აბსოლუტურად უცხო გზით წავედით და იქიდან ვერ ვბრუნდებით, გამოსვლის უფლებას არ გვაძლევენ. სწორედ უცხო ქვეყნების ინტერესები არ გვაძლევს საშუალებას, რომ დავდგეთ იმ საყრდენზე, რასაც ქართული სახელმწიფოებრიობა ჰქვია. ამ გზიდან უკან დაბრუნებას ძალიან დიდი ძალისხმევა, საზოგადოებაში საღი ღირებულებების გაღვიძება ჭირდება. ბიძინა ივანიშვილი პოლიტიკაში

რომ მოვიდა, პირველი ის თქვა, საზოგადოებაში, ანუ ამომრჩეველში პოლიტიკურ-საზოგადოებრივი შეხედულებებისა და ღირებულებების დეფიციტიაო. საქმე იმაშია, რომ არც არავინ მუშაობს, საზოგადოება თავის სიმაღლეზე რომ დადგეს, ეტყობა ეს დეფიციტი. არცერთ ქვეყანაში არ ხორციელდება ისე გეგმაზომიერად უცხო ქვეყნების მიზნები, როგორც ჩვენთან, საქართველოში ეს პროცესი ფაქტობრივად დასრულებულია, ხსენებულ სახელმწიფოებს უკავიათ სამართავი პულტები, რომელიც ჩართულია და ჩვენ უფსკრულისკენ მივექანებით. სხვაგან, მაგალითად, უკრაინაში ჯერ გადაწყვეტილი არ არის, რადგან მაინც ქაოსია, ჩვენთან კი ყველაფერი დასტაბილურებულია. არის პოლიტიკური ასპარეზი, არჩევნები, მოდის ესა თუ ის პარტია, ვიღაც იმარჯვებს, ვიღაც ოპოზიციაშია და ეს არის ნაცმოძრაობა, ასე რომ, არჩევნების შედეგებიც ფაქტობრივად უკვე ცნობილია. თითქოს ყველაფერი წინასწარ არის გათვლილი. რუსეთი თავისი ინტერესები აქვს, მცოცავი ოკუპაციით თანდათან ჭამს საქართველოს, სომხეთს თავისი ინტერესი აქვს, შემაკავებელი ფაქტორი არ არსებობს, ბათუმი გათურქდა, რუსთაველის და აღმაშენებლის გამზირებზე რაც ხდება, კარგად ვხედავთ, ე.ი. საქართველოს კი არა, უცხო ქვეყნების ინტერესები ხორციელდება და ამ ფონზე ქართული მხარის მერკანტილური ინტერესების განხორციელების „ბუმია“.

— ბატონო მერაბ, კარს მოგვადგა ადგილობრივი არჩევნები. გამარჯვების რა შანსები აქვს მმართველ პარტიას?

— მოგეხსენებათ, „ქართულმა ოცნებამ“ დედაქალაქის მერობის კანდიდატად კახა კალაძე წარადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ პარტიისგან, რომლის ერთ-ერთი დამფუძნებელი ვარ, არანაირი სიკეთეები არ მიმიღია და არც ველოდები, ეს არ ნიშნავს, რომ მოვლენებს არასწორი შეფასება მივცე. მე სახელმწიფოებრივად ვაზროვნებ, ამიტომ კალაძის კანდიდატურას კარგ შეფასებას ვაძლევ. იგი იმთავითვე იყო „ქართული ოცნების“ერთ-ერთი მთავარი და ფიგურა, ასე რომ, ქართულმა ოცნებამ“ დედაქალაქს ნამდვილად თავისი პოლიტიკური ფიგურა შესთავაზა. გამოდის ახლა ვიღაც გენიოსობაზე პრეტენზიის მქონე ექსპერტირტი, ვგულისხმობ გია ხუხაშვილს და ამბობს, კალაძის კანდიდატურის წარდგენაზე ბიძინა ივანიშვილის არმისვლა იმას ნიშნავს, რომ შესაძლოა ბატონმა ბიძინამ ზურგი აქცია „ქართულ ოცნებას“ და თურმე ეს კატასტროფას მოახდენს. ხუხაშვილი, როგორც ჩანს მსჯელობს თავისი პოლიტიკური ასე ვთქვათ მიდგომებით, რომ მას შეუძლია არ აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და „ქართული ოცნებისგან“ მიიღოს გარკვეული სიკეთეები. ხუხაშვილმა კარგად ისარგებლა ბიძინა ივანიშვილთან ახლო ურთიერთობით, გადამწყვეტი ფიგურალური პოზიციაც ეკავა, დღეს აღარ არის „ქართულ ოცნებაში“ და შეუძლია იგივე დასწამოს ივანიშვილს, რასაც თვითონ არის შეჩვეული, თავი აარიდოს პასუხისმგებლობას, დღეს ერთ პარტიაში იყოს, ხვალ სხვას დაუკრას ტაში და ამით პოლიტიკური ექსპერტობა დაიჩემოს. ასეთ ე.წ. ექსპერტებს შეუძლიათ აბსურდული შეფასება მისცენ ბიძინა ივანიშვილის „ქართულ ოცნებასთან“ დამოკიდებულებას. **ხუხაშვილის ეს განცხადება, რომ ბიძინა ივანიშვილმა ზურგი აქცია „ქართულ ოცნებას“, საკმაოდ მავნებლური განცხადებაა, რადგან ამომრჩევლის რაღაც ნაწილმა მაინც შეიძლება იფიქროს, რომ თუ ამ პარტიას მისმა შემქმნელმა აქცია ზურგი, ჩვენ რაღად გვინდა „ქართული ოცნებაო“.** შეფარულად ზუსტად ეს დევს, რომ ხმა როგორ უნდა მისცე პარტიას, რომელზეც უარი მისმა შემქმნელმა თქვა. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, ხუხაშვილის საქმე ისეა, მელას რაც ელანდებოდა, ის ესიზმრებოდაო. ის ახლა თავისი „ექსპერტობით“ ლიბერალური ფრთისკენ იკაფავს გზას, რომ სარგებელი ნახოს, იმ ფრთისკენ, რომელსაც გიორგი მარგველაშვილის ფრთა ჰქვია. ბიძინა ივანიშვილმა შეიძლება სახელმწიფო მოხელის პასუხისმგებლობა არ აიღოს და თანამდებობიდან გადადგეს, მაგრამ „ქართული ოცნების“ მიმართ პასუხისმგებლობა სიცოცხლის ბოლომდე ექნება და დარწმუნებული ვარ მას არ გაექცევა, რადგან ეს პარტია ფაქტობრივად მისი პირმშოა. **ნებისმიერ ამომრჩეველს ეჭვი არ უნდა შეეპაროს, რომ ბიძინა ივანიშვილი არასდროს გაექცევა „ქართული ოცნების“ მიმართ პასუხისმგებლობას.** ჩემი აზრით, ბატონი ბიძინა ძალიან კარგად მოიქცა კახა კალაძის წარდგენაზე რომ არ მივიდა, ეს საჭიროც იყო, რადგან ამ პარტიის ფიგურები, მუდმივად ივანიშვილის გავლენის ქვეშ მყოფ, მისი მხარდაჭერით შექმნილ ფიგურებად გვესახება. ეს გარკვეულწილად უარყოფითი დამოკიდებულების და შეფასების მომტანი გახდა „ქართული ოცნებისთვის“, არჩევნების წინ ივანიშვილის მუდმივად ვიღაცის გვერდით დგომა, დაცვა-გამოსარჩლება ისეთ შთაბეჭდილებას ქმნის, რომ „ქართულ ოცნებას“ სულ უჭირს და არჩევნებს ფაქტობრივად ვერ მოიგებს. ამას მიხვდა ივანიშვილი, მან ეტყობა კალაძე ჩათვალა ისეთ ფიგურად, სადაც არ იყო საჭირო დემონსტრირება, რომ მას ივანიშვილის დახმარება ჭირდება. მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია ვთქვა, რომ ბიძინა ივანიშვილი შეგნებულად არ გამოჩნდა კალაძის წარდგენის ცერემონიალზე.

კახა კალაძე დღესდღეობით გვევლინება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ დამოუკიდებელ პოლიტიკოსად, რომელმაც ბიძინა ივანიშვილის პასუხისმგებლობა გადაინაწილა და ახლა მასზე არის დამოკიდებული „ქართული ოცნების“ მომავლის ბედი. ასე რომ, მიმაჩნია, ის ნამდვილად წარმატებული მერი იქნება.

— გეთანხმებით, რომ ხუხაშვილის მხრიდან მზაკვრულად დათესილი ეჭვი იყო, მაგრამ ამას ისიც ემატება, რომ ბიძინა ივანიშვილი ბოლო ხანს საერთოდ არ გამოჩენილა, რასაც უამრავი მითქმა-მოთქმა მოყვა.

— კახა კალაძესთან დაკავშირებით, უკვე გესაუბრეთ. აქ სხვა ასე ვთქვათ, ვერსიებიც შეიძლება იყოს, ბიძინა ივანიშვილი თავიდან თვლიდა, რომ საჭირო იყო მისი გამოჩენა, ჭირდებოდა „ქართულ ოცნებას“ მისი ღია მხარდაჭერა. შემდგომმა არჩევნებმა აჩვენა, რომ საარჩევნო ბალანსი დიდად არ შეცვლილა, რადგან ის მაინც მოიაზრება „ქართული ოცნების“ უკან, თუ ივანიშვილის ავტორიტეტი რამეს ნიშნავს საქართველოში, ეს პარტია ამით მაინც ისარგებლებს. ან ეს არის ჩანაფიქრი, რომ არ უნდა გამოჩნდეს, იმიტომ, რომ აზრი არ აქვს, „ქართულმა ოცნებამ“ რაც უნდა აიღოს, იმას მაინც იღებს, ანუ იმის დემონსტრირებას ახდენს ივანიშვილი, რომ მმართველ პარტიას მისი დახმარება აღარ ჭირდება. ან მეორე მომენტია, ის სექტემბერში აუცილებლად გამოჩნდება და ყველას ეტყვის, ის ჭორები რომ ვრცელდებოდა ჩემს ავადმყოფობასა თუ გაქცევის შესახებ, არსად გავქცეულვარ, არც ჯანმრთელობას ვუჩივიო და „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ განცხადებასაც გააკეთებს. როგორც გითხარით, კალაძის კანდიდატურას დადებით შეფასებას ვაძლევ, კარგი გათვლა გაკეთდა. კახი კალაძე ვიცეპრემიერი, ენერგეტიკის მინისტრყ, „ქართული ოცნების“ გენმდივანი იყო, ანუ საკმაოდ კომფორტული სიტუაცია ჰქონდა, რაც მერობის შემთხვევაში სამეურნეო საქმიანობით, დიდი პასუხისმგებლობით შეეცვლება. დარწმუნებული ვარ, იგი კარგად გაართმევს თავს ამ საქმეს. **კალაძის აქტიურობით შეფასდება ეს არჩევნები, ის იქნება კატალიზატორი. მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნების“ ზოგიერთი დანაპირები ვერ შესრულდა, ყველა სახელმწიფოებრივად მოაზროვნე ადამიანმა ამ არჩევნებში კახი კალაძეს და პარტიის სხვა კანდიდატებს უნდა დაუჭიროს მხარი.**

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

ტენდერები და „ნაცმოძრაობა“, რომელიც „ატკატში“ გვერგო

არის მოსაზრება, რომ არ შეიძლება „ჩაიციკლო“ იმ 9 წელში, რომელსაც მიშას იმპერია ჰქვია და, ეს სიმართლეა. თუმცა, გასათვალისწინებელია უმთავრესი ფაქტორი: 2012 წლის შემდეგ რეალურად რომ

მომხდარიყო სამართლიანობის აღდგენა და „ხალხის დაკვეთათ“ არ გამოეცხადებინათ კოჰაბიტაცია, რითაც ძალიან ბევრი ნაცმაცუნა გადაურჩა სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას, დღეს, 2012 წლიდან ხუთი წლის შემდეგ, არავინ გაიხსენებდა იმ ავბედით 9 წელს! ხალხი „ჩარჩა“ იმ 9 წელში, ერთი „უბრალო“ მიზეზით – 9 წლიანი ტირანიის შემოქმედთაგან არავის უგია პასუხი კანონის წინაშე. მეტიც, ვინც დააკავეს ზოგი მალევე გაათავისუფლეს, ზოგი (მაგალითად ნიკა გვარამია) მოწშედ დაკითხეს და ამით ამოწურეს პროცედურა, ზოგს ისეთი სასაცილო ბრალდება (მაგალითად სააკაშვილი) წაუყენეს, ბრალდებულის დაკავებად რომ არ ღირს. ყველაზე სასაცილო, სამწუხარო რომ არ იყოს, არის ის, რომ ნაცბრალდებულთაგან არავინ ცდილობს მიმალვას. მაგალითად, სააკაშვილი ყველამ იცის სადაცაა და ჩვენს სახელმწიფოს არ ჰყოფნის გამბედაობა, მოითხოვოს მისი ექსტრადირება. არავის გასჩენის სურვილი ვითომ ძებნილი კოდუა, თოფურიძე მოეკითხათ. კარგი, ვთქვათ თოფურიძე ჩუმადაა და „ძნელია“ მისი ადგილსამყოფელის დადგენა, კოდუა ხომ „ხელის გულზე“ დევს? მთელმა საქართველომ იცის როდის და რა ვითარებაში, სად ნახულობდა „დევნილ“ ქმარს ნანული ჟორჟოლიანი, ხოლო როცა „ჟურნალისტი“ მიატოვა კოდუამ, ყველამ გაიგო სად, რა ვითარებაში და ვისთან იქორწინა „დიდმა პოლიციელმა“. რაღა შორს წავიდეთ და აქვე, ადგილზე, საქართველოში, პარლამენტში თუ მის გარეთ არ სხედან დამნაშავე ნაცები? არ აკეთებენ კომენტარებს და არ მოძღვრავენ ერს? და, კიდევ ვინმე იტყვის, რომ ხალხმა უნდა დავივიწყოთ 9 წელი? ხალხი არც იმ 9 წელს დავიწყებს, არც იმ 9 წლამდე პერიოდს და არც 2012 წლის არჩევნებს და არც გამოცხადებულ კოჰაბიტაციას.

ფული და ხალხის უბედურების ხარჯზე გამდიდრება, აი, ეს არის ის ნიშა, რომელიც არა მხოლოდ ნაციონალების დასახასიათებლად გამოდგება. ისინი იპარავდნენ ყველაფერს, ძარცვავდნენ საქართველოს, ქართველობას და არა მხოლოდ მდიდრებს, მათ გაატყავეს ყველა, ვინც თვალში არ მოსდიოდათ. ყველაზე დიდი შემოსავალი ტენდერებში იყო და არის. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ასე ვთქვათ გზების ტენდერი. რამაზ ნიკოლეიშვილი გზამ გახადა მილიონერი, თუმცა არც მისთვის მოუთხოვია ვინმეს პასუხი.

უბრალოდ მაგალითები:

2011 წელს, სახელმწიფომ 959 მილიონი ლარის ღირებულების პირდაპირი კონტრაქტი გააფორმა. 2012 წელს მსგავსი კონტრაქტების ღირებულებამ 1.17 მილიარდ ლარს მიაღწია, 2013 წლის პირველი ცხრა თვის მანძილზე კი მათი მოცულობა 450 მილიონი ლარი იყო. გასულ წელს, არაკონკურენტული წესით გაფორმებულმა კონტრაქტებმა მთავრობის დანახარჯების 18% შეადგინა, რაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 4.7%-ია. 2012 წელს „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ” შემოწირულობების სახით 6.6 მილიონი ლარი მიიღო სწორედ იმ პირებისაგან, რომელთა კომპანიებმაც სახელმწიფოსგან პირდაპირი კონტრაქტების მეშვეობით 160 მილიონი ლარი მიიღეს. (იმავე კომპანიებმა 2011 წელს 110 მილიონი ლარი მიიღეს.)

სამშენებლოკომპანია შპს „ანაგმა“, რომლის მფლობელიც აჭარის უმაღლესი საბჭოს ყოფილი წევრის (2008–2012) ზაზა გოგოტიშვილის მეუღლე ნანა არუშიძეა, სახელმწიფოსთან 59.2 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტები გააფორმა მაშინ, როდესაც მისი მეუღლე აჭარის რესპუბლიკის საკანონმდებლო ორგანოს წევრი იყო. აქედან, 10 მილიონი ლარი კომპანიამ აჭარის სპორტის სამინისტროსგან მიიღო.

კომპანიამ „ევროკანდელა“ დაარსებიდან სამი კვირის შემდეგ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის კუთვნილ ორგანიზაციასთან „ანაკლია-განმუხურირესორტსი“ პირდაპირი წესით გააფორმა 2.1 მილიონი ლარის ღირებულების კონტრაქტი, რომელიც გარე განათების ბოძების მიწოდებას ითვალისწინებდა; 2011 წლის სექტემბერში, „ევროკანდელა“-ს თანადამფუძნებელი რეგიონული განვითარების სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა. აქედან რამდენიმე კვირაში კომპანიამ 600 000 ლარის ღირებულების კონტრაქტი მუნიციპალური განვითარების ფონდთან გააფორმა.

სამშენებლო კომპანია „ლებეს“ კასპის მუნიციპალიტეტმა პირდაპირი წესით 450 000 ლარის ღირებულების კონტრაქტი გაუფორმა, ამ დროს კომპანიის 50%-ის მფლობელი – ლევან დემეტრაშვილი კასპის საკრებულოს ერთ–ერთი კომიტეტის თავმჯდომარე იყო.

2012 წელს პირდაპირი წესით გაფორმებული კონტრაქტების ოდენობა მკვეთრად გაიზარდა: კონკურენტული ელექტრონული ტენდერის გზით კონტრაქტების მხოლოდ 55% (1.532 მილიონი ლარი) გაფორმდა, 45%-ის (1.238 მილიონი ლარი) გაფორმება კი არაკონკურენტული, გამარტივებული შესყიდვის წესებით მოხდა.

„ნაციონალების“ პერიოდში უკანონობა თანდათან გროვდებოდა, ამასთანავე, იზრდებოდა ცენტრალიზებული, კარგად აწყობილი ელიტური კორუფცია. 2008 წლის აპრილში ლონდონის ბირჟაზე 500 მილიონი დოლარი აიღეს. „ნაცები“ პარლამენტის დარბაზში ჩუმად უხსნიდნენ დეპუტატებს, – ამ ფულის აღებას ხმა მივცეთ, რადგან აფხაზეთში ომი დაიწყება და ფული დაგვჭირდებაო. დღემდე აზრად არავის მოსვლია, გამოიძიოს, სად წავიდა ეს ფული. ყველაფერი ცენტრალიზებული იყო და თვითონ წყვეტდნენ, რომელ კერძო ბანკს აიძულებდნენ ვალის აღებას. საქართველოს რკინიგზასაც ააღებინეს ვალი, რომელიც თითქოს სახელმწიფო ვალად არ ითვლება. საქართველოს ვალის ოდენობა დღეს 13,4 მილიარდი დოლარია. „ნაცმოძრაობამ“ 4 წელიწადში შეძლო, ეს ვალი ქვეყნისთვის დაედო. დავით ბაქრაძის მამას რამდენმილიონიანი ტენდერი „მიართვეს“ დასავლეთ საქართველოში წყალმომარაგების გასაუმჯობესებლად. „ნაცები“ ფულს თავისიანებს აძლევდნენ, რათა ეს თანხა „ობშიაკში“ დაბრუნებულიყო. თავიდანვე. სტრატეგიული ობიექტების გასხვისების საქმეში ჩარეულნი იყვნენ ეკონომიკის იმდროინდელი მინისტრი კახა ბენდუქიძე და სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია. ამ ადამიანებს ფირმები ჩამოჰყავდათ ტენდერში მონაწილეობისთვის, შემდეგ კი დიდ წილს იღებდნენ „ატკატებისგან“. „წყალკანალი“ რომ სხვისდებოდა, ბრიტანულმა კომპანიამ შეიტანა განაცხადი, მას 7-მილიარდიანი ბრუნვა ჰქონდა წელიწადში, მაგრამ ტენდერი გაურკვეველი წარმოშობის კომპანიამ მოიგო. დიდი ამბავი ატყდა ფოთის პორტის გასხვისებაზე, ყიდულობდა ყალბი „რაკიინი“. სააკაშვილს ეს ამბავი რომ უთხრეს, უპასუხა, ჩემი გადაწყვეტილება იყოო. „ომი რომ მოხდება, ყველა გაიქცევა, ასეთი ფირმები კი დარჩებიან“, – ეს იყო სააკაშვილის ბოლო სიტყვა.

ქეთევან ზარნაძე
599 52 60 30

(გაგრძელება იქნება)

ქართველთა მარში

14 ივლისს გამართულ „ქართულ მარშს“ არაერთგვაროვანი გამოხმაურება მოყვა.ე.წ. ლიბერალურმა ფრთამ, მრავალათასიანი მშვიდობიანი მსვლელობა ფაშიზმისა და ექსტრემიზმის გამოვლინებად მონათლა. თურმე მარშის ორგანიზატორები და იქ მისული საზოგადოება, ბნელები და ჰომოფობები ყოფილან, რომლებიც ტურისტებისა და ინვესტიციების შემოსვლის აკრძალვას ითხოვენ, რითაც ქვეყნის განვითარებას ხელს უშლიან. ამ ფსევდოლიბერალებმა, რომლებსაც საღად მოაზროვნე ადამიანები სრულიად სამართლიანად უწოდებენ უცხო ქვეყნების აგენტურას, ძალიან კარგად იციან, სინამდვილეში რასაც ემსახურებოდა ეს აქცია, მაგრამ როგორც აწყობთ, ისე ჭრიან და კერავენ. ყველაზე სამწუხარო ის არის, რომ მედიასაშუალებების უმეტესობა, განსაკუთრებით ელექტრონული მედია ფსევდოლიბერალების სამსახურშია ჩამდგარი და მათ ემსახურება.

„**საერთო გაზეთი**“ აქციის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს გაესაუბრა, გთავაზობთ მათ კომენტარებს.

„ჩემი ვინაობა რაში გჭირდებათ, ყველა ქართველ პატრიოტს წარმოვადგენ. წლების განმავლობაში ვმუშაობდი ძალოვან სტრუქტურებში, სააკაშვილის რეჟიმმა ერთი ხელის მოსმით გამოგვყარა ქუჩაში, ზოგიერთს პენსიაში გასვლამდე რამდენიმე თვე გვქონდა დარჩენილი, ასე რომ პენსიის გარეშეც დაგვტოვეს. ახალი თაობა უნდა მოვიდეს ყველა სტრუქტურაში, მაგრამ იქ პროფესიონალები ხომ უნდა დახვდნენ, რომლებიც მუშაობას ასწავლიან. ნაციონალებმა გამოუცდელი, უცოდინარი კადრებით რომ გაავსეს ყველა სამსახური, ეს არ არის გასაპროტესტებელი, რატომ უკვირთ ხალხის გამოსვლა. თუ ჩვენი ხალხისთვის არ არის სამუშაო და უცხოეთში გარბიან ლუკმაპურის საშოვნელად, ეს უცხოელები როგორ საქმდებიან?

ავთო (55 წლის): „ტოლერანტობას და სხვისი რელიგიების პატივისცემას ვერავინ გვასწავლის, საუკუნეების განმავლობაში ცხოვრობენ ჩვენს გვერდით მუსულმანები, მაგრამ დაპირისპირება არ გვქონია. ახლა ხომ ხედავთ რაც ხდება, საკუთარ ქვეყანაში გვიბილწავენ სიწმინდეებს, რა მნიშვნელობა აქვს ეს ტურისტი იქნება თუ არალეგალურად ჩამოსული, ბავშვებს აუპატიურებენ, ყველა ფეხის ნაბიჯზე აქვთ გახსნილი ჩილიმბარები. თურმე პროგრესულად აზროვნება ყოფილა „პლანის“ დათესვა-მოხმარების ლეგალიზება და პროსტიტუციის მიმართ „შემწყნარებლობა“. ჩვენი შვილები ამ ნებადართულ სიბინძურეებს რომ უყურებენ, რა გარანტია გვაქვს, რომ ხვალ იგივეს არ გაიმეორებენ. ხომ არ შეიძლება ფულის გულისთვის ყველაფერი იკადრო, კიკუს როლში ხომ არ უნდა იყოს მთელი ქვეყანა. ყურები რომ გამოგვიჭედეს ამ ვაი-პოლიტიკოსებმა და „ენჯეოშნიკებმა“, ქართველებს მუშაობა ეზარებათ, უცხოელები აგვაყვავებენო, რა ინვესტიციას დებენ, გინახავთ რომელიმე ეს უცხოელი მუშაობდეს? დღე და ღამე სხედან დუქნებში და არაოფიციალურ „ბორდელებში“, სადაც შედიან ეს უჭკუო ქართველი გოგონები და ფულის გულისთვის ყველაფერს კადრულობენ, მიდის ახალგაზრდობის მასობრივი გარყვნა, მერე ეს პოლიტიკური თუ ფიზიკური მეძავობით ნაშოვნი ფულით გაზულუქებული, გახრწნილი ხალხი ჩვენს შვილებს ზემოდან დასცქერიან და აბუჩად იგდებენ. თურმე ამ „ინვესტორებს“ აღმაშენებლის გამზირის მთლიანად შესყიდვა ნებავთ, ეს თავმოყვარე ქართველმა როგორ უნდა დაუშვას?! იმიტომაც მიდის ყველა ტელევიზიიდან „ქართული მარშის“ გამალებული დისკრედიტაცია.

ძალბატონი თამარი: „ეს საფრთხე მართლაც გვემუქრება. მთელი თბილისი უცხოელების მაღაზიებითაა გაძეძგილი, სადაც მარტო თავიანთ ენაზე აქვთ წარწერები. რომ ეკითხები საქართველოს მიწა-წყალზე შენს ენაზე რატომ აწერო, თუ რამე გინდა, მკითხე და გადაგითარგმნიო. თავიანთ ქვეყნებში ქართული წარწერას გაგაკეთებინებენ კი არა, მაღაზიას არ გაგახსნევინებენ. მაგათ გაქართველებას და სარწმუნოების შეცვლას არავინ ავალებს, მაგრამ მიიღოს და პატივი სცეს ჩემს წეს-ჩვეულებებს, თუ არ მოწონს, მიბრძანდეს თავის სამშობლოში, ჩემს ქვეყანაში თავისი ცხოვრების წესს რატომ უნდა მახვევდეს თავზე“.

დავით რეხვიაშვილი: „თავის დროზე დისიდენტი ვიყავი, საქართველოს დამოუკიდებლობის მისაღებად, ჩვენი ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების დასაცავად ვიბრძოდი, მაგრამ მგონი, დღეს უფრო ილახება ჩვენი უფლებები. უცხოტომელები ძალიან თავხედურად იქცევიან, მართლმადიდებელი ქრისტიანები ვართ, ჩვენი რელიგია კაცთმოყვარეობას ქადაგებს, მაგრამ სტუმარს ზედმეტი არ უნდა მოუვიდეს. ბავშვები თუ გააუპატიურეს, ქალები და ახალგაზრდები თუ გაგვილახეს, პროტესტი უნდა გამოვხატოთ, აბა რა უნდა ვქნათ? დღევანდელ აქციაზეც ამიტომ მოვედი, ჩვენი ქვეყანა უნდა დავიცვათ, ეს ყველა ქართველის ვალია“.

ალეკო თეთრაშვილი („ქართული მარშის“ ერთ-ერთი ლიდერი, მსახიობი): პირველ რიგში მთავრობას საემიგრაციო კანონის გამკაცრება უნდა მოვთხოვოთ, მერე დანარჩენ საკითხებსაც მივხედავთ. საზოგადოების აქტიურობის შედეგად კონსტიტუციაში კი ჩაწერეს, რომ ქართული მიწა უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე არ გაიყიდება, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან უამრავი ხვრელი დარჩა. უცხოელს უპრობლემოდ მისცემენ მოქალაქეობას, ბოდიში გამოთქმისთვის, მაგრამ ვიღაც მეძავს დააინტერესებენ, მოისყიდიან და გააფორმებენ ფაქტიურ ან ფიქტიურ ქორწინებას, რის შემდეგაც ის უცხოელი საქართველოს მოქალაქე გახდება. ამიტომ ჩვენ აუცილებლად მოვითხოვთ ბინადრობის უფლებისა და მოქალაქეობის მიღებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის უკიდურესად გამკაცრებას. რომ გამოდიან და ამბობენ, ქართველი არალეგალებიც ხომ არიან უცხო ქვეყნებში ჩასულებიო, ჯერ ერთი ეს ქართველმოძულეების პოზიციაა და ვინც არის ეს ხალხი, თქვენც კარგად იცით. უცხოელთა ასე „გულმხურვალე“ მხარდაჭერებს მინდა ვკითხო, თუ მაჩვენებენ სირიაში, ერაყში, ავღანეთში და ა.შ. ჩასულ ერთ ქართველს მაინც, ჯგუფზე აღარაფერს ვამბობ, ასე რომ პარპაშებდეს, სჩადიოდეს ათასგვარ სიბინძურეებს, აუპატიურებდეს პატარა ბავშვებს, შეურაცხყოფდეს მათ რწმენას და სიწმინდეებს. საქართველოში კი რა ხდება, ერთგან ეკლესიის კედელზე თურქულად წაწერეს, მეორეგან ჯვარს მიაშარდეს, ტაძარს მაღაზია მიაშენეს, ეს რაც გახმაურდა, ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი ვანდალობა აქვთ ჩადენილი ამ ე.წ. ტურისტებსა თუ „ინვესტორებს“. ეს უნდა ეპატიოთ მაგათ, მთავრობა ასე ჩუმად უნდა იყოს? რომელიმე ქართველი რომ ჩავიდეს ზემოხსენებულ ქვეყნებში მეჩეთს მიაშარდოს, ცოცხალი ვერ გამოასწრებს. მერწმუნეთ, მხოლოდ დღევანდელი მსვლელობით არ დასრულდება ქართველთა პროტესტი, აქცია მოცულობით ბევრად უფრო მასშტაბური გახდება, ათჯერ და ოცჯერ გაიზრდება, რადგან უკან დასახევი გზა აღარ არსებობს.“

გიორგი გიგაური – ჟურნალისტი: „მარტო გამკაცრება საქმეს ვერ უშველის, კანონმა რეალურად უნდა იმუშაოს. დედაქალაქის ქუჩებსა და მოედნებზე გარყვნილების ბუდეები აქვთ მოწყობილი უცხოელებს, რაშიც ჩვენი ბავშვებიც არიან ჩართული. ეს ჩვენი აღმოჩენა კი არ არის, რამდენიმე თვის წინ პრემიერ-მინისტრმა კვირიკაშვილმაც ისაუბრა. ჩვენ ხელისუფლებას ერთკვირიანი ვადა მივეცით, თუ მოქმედი კანონმდებლობა არ გამკაცრდა, შესაბამისი ნორმები არ იქნება დაცული, ხელისუფლება არ განაცხადებს მზადყოფნას, რომ დაიწყოს ამ მიმართულებით მუშაობა, აქციები გაგრძელდება და. ჩვენ სხვა თემების წამოწევასაც ვაპირებთ“. არ შეიძლება ქვეყანა დერეფანი იყოს, რომ ვისაც მოესურვება თავისუფლად შემოვიდეს, წერტილი უნდა დაესვას საქართველოში კრიმინალების, პედოფილიასა და სხვა მძიმე დანაშაულობებში მხილებული ადამიანების მასობრივ შემოყრას. ჩვენ ისედაც მილევადი ერების სიაში შეგვიყვანეს საერთაშორისო ორგანიზაციებმა, ამიტომ ჩვენი მილიონნახევარი უცხოეთში გადახვეწილი თანამოქალაქის დაბრუნებასა და ნორმალურად ცხოვრების პირობების შექმნაზე უნდა ვიზრუნოთ და არა იმაზე, ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან უცხოტომელები შემოვიყვანოთ და ქვეყანა საბოლოოდ გავაჩანაგოთ“.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 77

ვინ და რატომ უქმნის პრობლემას უსახლკაროთა დასახმარებლად შექმნილი პროექტების განხორციელებას?

საქველმოქმედო ფონდის მიერ უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დასახმარებლად დაწყებულმა აქტივობამ ჩვენი გაზეთის მკითხველის დაინტერესება გამოიწვია. რედაქციაში რეკავენ ადამიანები, რომლებმაც სახლი ჯანმრთელობის პრობლემების, იპოთეკური სესხების, თაღლითური გარიგებებისა თუ სხვა მიზეზების გამო დაკარგეს. ქალბატონი, რომლის ვინაობას მისივე თხოვნით, ინკოგნიტოდ დავტოვებთ, ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელში ასწავლის..

– დასამალი არაფერი მაქვს, რადგან არავისთვის არაფერი მომიპარავს და წამირთმევია.. პირიქით, მაგრამ უამრავი სტუდენტი მყავს და არ მინდა, რომ ჩემი ვინაობა გაზეთში დაიწეროს. ოჯახთან ერთად, დიღომში ვცხოვრობდი და სახლთან ახლოს, პატარა მაღაზია გვქონდა. მე ლექციებს ვკითხულობ, მაგრამ ოჯახის ძირითადი საარსებო წყარო მაინც ეს მაღაზია იყო. როგორც მახსოვს, 2010 წელი იყო. ხელისუფლებაში ჯერ კიდევ ნაციონალები იყვნენ, როცა მაღაზიაში მაკონტროლებლები შემოვიდნენ. მიუხედავად იმისა, რომ ყველაფერი წესრიგში გვქონდა, აქტში ჩაწერეს, რომ სალარო გატარებული არ იყო და 5000 ლარით დაგვაჯარიმეს. გონზე მოსვლა ვერ მოვასწარით, რომ მაკონტროლებლების პირველი ჯგუფის გასვლიდან ნახევარ საათში, მეორე ჯგუფი შემოვიდა. იგივე „დარღვევაზე“ აქტი მეორედ შეადგინეს და 10 000 ლარით დაგვაჯარიმეს.

– როგორც ამბობთ, თუ ყველაფერი წესრიგში გქონდათ, უკანონო ჯარიმა რატომ არ გასაჩივრეთ?

– გავასაჩივრეთ, მაგრამ ეს პროცესები მერიაში გაჭიანურდა. სანამ სიმართლე გაირკვეოდა, მაღაზია 6 თვით დაგვიყადაღეს და ჯარიმის გადახდა გვაიძულეს. 15 000 ლარის მთლიანად გადახდა ვერ მოვახერხეთ, მაგრამ 5000 ლარი არაფრის გამო გადავიხადეთ. რა თქმა უნდა, შემოსავლის წყაროს დაკარგვამ და უსამართლო ჯარიმამ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაგდო. ვალებში გავეხვიეთ და დავდექით რეალობის წინაშე, რომ ბინა უნდა გაყიდულიყო. მაღაზიის საქმეზე 6 თვის შემდეგ გაგვამართლეს, მაგრამ არც კომპენსაცია მოგვცეს და არც ჩვენი გადახდილი ფული დაუბრუნებიათ. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ მაღაზია სახლთან ერთად გაიყიდა.. ეს ჩვენი უბედურების მხოლოდ ნაწილია. სანამ ეს ამბები მოხდებოდა, სოლოლაკში ბინის აშენებას ვაპირებდით. მშენებლობისთვის საჭირო თანხა ჩემი მეუღლის მეგობარმა მოატყუებით წაიღო და დაიკარგა. ამ საქმეზე სასამართლო პროცესები დღემდე მიმდინარეობს. მაშინ ჩემი მეუღლე ისეთ დეპრესიაში ჩავარდა, რომ თვითმკვლელობა სცადა. ბოლო ორი წელია, მდგომარეობიდან გამოვიდა და მუშაობა დაიწყო. ვალებში ჩავარდილ ოჯახს სასამართლო პროცესების ბოლომდე მიყვანაში რომ დახმარებოდა, ჩემმა დამ თავისი საცხოვრებელი ბინა იპოთეკაში ჩადო. რაღაც პერიოდის განმავლობაში პროცენტებს ვიხდიდით, მაგრამ მაღაზიის დაკარგვის შემდეგ, ვეღარ გავუმკლავდით.. 2014 წელს ეს ბინაც რომ დავკარგეთ, უკვე მე მიღალატა ნერვებმა და თვითმკვლელობა ვცადე. ძალიან გამიჭირდა იმის გაცნობიერება, რომ ორი ოჯახი ქუჩაში დავრჩით..

– ამჟამად სად ცხოვრობთ?

– მეხუთე წელია, მეუღლესთან და დასთან ერთად, ნაქირავებში ვცხოვრობ. ჩვენი შემოსავალი მთლიანად ბინის ქირაში და პროცენტების ხდაში მიდის. ელემენტალური კვების პროდუქტების შეძენას ძლივს ვახერხებ, მაგრამ

არავის არაფერს ვაბრალებ. ჩემი დის ბინა თაღლითურ სქემებში ჩართულმა მევახშემ წაიღო, რომელსაც 80 ოჯახი მაინც ჰყავს გამოსახლებული, მაგრამ ალბათ, ყველაფერი მაინც ჩვენი გამოუცდელობის და წინდაუხედაობის ბრალი იყო. ყველაფრის მიუხედავად, ჩვენც ხომ ამ ქვეყნის მოქალაქეები ვართ? არასოდეს არაფერი დაგვიშავებია და ხომ შეიძლება, სახელმწიფო შეღავათიანი კრედიტით დაგვეხმაროს, რომ თავზე ჭერი გვქონდეს და შემოსავალს ქირაში არ ვყრიდეთ? 10%-იან სესხს ვფარავ და მიკვირს, ქირასთან ერთად, როგორ ვახერხებ. ბანკის „ძირი თანხა“ რამდენჯერმე დავფარე, მაგრამ მაინც პროცენტებს მახდევინებენ. ამ მდგომარეობაში მყოფს პასუხისმგებლობა მაძლებინებს, რომ ყველა ვალი გადავიხადო. ჩემთვის შეღავათიანი სესხი, რომელზეც ნატო დოლიძე თქვენთან ინტერვიუში საუბრობს, გადარჩენის ტოლფასია! იმედი მომეცა, რომ თუ ეს ღვთისნიერი ადამიანი თავის პროექტს განხორციელებს, მე და ჩემს დღეში მყოფ უამრავ ადამიანს გვეშველება. არ მესმის, ასეთი კეთილშობილური იდეის განხორციელებას დახმარების ნაცვლად, პრობლემა რატომ უნდა ექმნებოდეს?

კითხვას, რომელიც მხოლოდ ჩემს რესპოდენტს არ გასჩენია, შეიძლება რამდენიმე პასუხი ჰქონდეს, თუმცა, ვერსიებსა და ვარაუდებზე საუბარს, ვამჯობინეთ ისევ პროექტის ავტორსა და მხარდამჭერს დავკავშირებოდით და ზემოთხსენებულ კითხვაზე მათი პასუხების ვერსიები მოგვესმინა. საქველმოქმედო ფონდი „სხივის“ დამფუძნებელი ნატო დოლიძე:

– თქვენი რესპოდენტის მსგავსად, მეც ბევრჯერ მიფიქრია, ხელშეწყობის ნაცვლად, რატომ ექმნება პრობლემა პროექტს, რომელსაც შეუძლია ათასობით უსახლკარო ადამიანს საკუთარი ჭერი გაუჩინოს, მიგრაციის დონე შეამციროს და ქვეყნის კეთილდღეობის მაჩვენებელი გაზარდოს, თუმცა ამაზე გამოკვეთილი პასუხი არ მაქვს. როცა ამ თემაზე მუშაობა დავიწყე, მიკვირდა, რომ ეჭვით მიყურებდნენ და აინტერესებდათ, რატომ ავირჩიე გრანტით ბინათმშენებლობა. ყველამ კარგად იცის, რომ მშენებლობიდან გრანტის „მოტეხვა“ შეუძლებელია, ამიტომ პირდაპირ მეკითხებოდნენ, რაღა მშენებლობა აირჩიე, როცა ათასი პროექტია, საიდანაც გრანტის მითვისება შეიძლებაო. შევარდნაძემ ისე კარგად დანერგა გრანტიჭამიობის სისტემა, რომ სააკაშვილმაც გადასარევად აითვისა. შესაბამისად, ვერავის წარმოუდგენია, რომ შეიძლება გულწრფელად და უანგაროდ მოინდომო უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანების დახმარება.

— ჩვენი მკითხველების ზარები მოწმობს, რომ უსახლკაროდ დარჩენილებში ისეთი კატეგორიაც არსებობს, რომელიც იაფი და გრძელვადიანი კრედიტის პირობებში, ბინის საფასურის გადახდას შეძლებს.

– მე ეს საკითხი კარგად მაქვს შესწავლილი და ვიცი, რომ არის კატეგორია, რომელსაც 2% და 2,5%-იანი კრედიტი 14 წელზე რომ გადაუნაწილო, ბინის ღირებულების გადახდას შეძლებს. ესაა ხალხი, რომელიც წლების განმავლობაში, ბინის ქირას იხდის და ისევ ქუჩაში რჩება, რადგან მსყიდველობით უნარი არ გააჩნია. 200 მილიონი ევროს ღირებულების გრანტი, რომელზეც წინა ინტერვიუში გესაუბრეთ, მეორე კატეგორიაზეა გათვლილი, რომელსაც ქირის გადახდაც არ შეუძლია და ერთიდან მეორე ბინაში გადადის. დაბალპროცენტიანი კრედიტი იმითაა კარგი, რომ შეგიძლია ბინის ფართი სურვილის მიხედვით აირჩიო. რაცშეეხება გრანტს, აქ მთავრობა გვაძლევს კონკრეტულ ნორმებს, ერთ სულზე რამდენი კვადრატული მეტრი უნდა გამოიყოს, ორ სულზე რამდენი და ა.შ. 200 მილიონიანი გრანტი 13 ივნისის წყალდიდობის შემდეგ გახდა აქტუალური, როცა ინფორმაცია უცხოეთში გავიდა.

გრანტი მოდის დიდი საერთაშორისო დონორი ფონდიდან, რომელიც განვითარებად ქვეყნებს ეხმარება. ეს ძალიან კარგი რეპუტაციის ჯგუფია, რომელსაც როტშილდების და მორგანების ფონდებთან აქვს ურთიერთობა. ისინი ელოდებიან საქართველოდან მესიჯს, რომ გრანტი გამოაგზავნონ. სამწუხაროა, რომ ასეთმა მნიშვნელოვანმა პროექტმა ჯერ-ჯერობით ხელისუფლების მხარდაჭერა ვერ მოიპოვა.

უსახლკარო ადამიანების დასახმარებლად შექმნილი პროექტების „დაბლოკვაში“ საბანკო სექტორის ინტერესებს ხედავს „იურიდიულ და ფიზიკურ პირთა უფლებების დაცვა ანტიკორუფციული კავშირის“ თავმჯდომარე. გარკვეული წრეები ცდილობენ პროექტის განხორციელება „თითიდან გამოწოვილი“ მიზეზებით შეაჩერონ, რაც ამ ადამიანების კენჭო ინტერესებზე მეტყველებს- განაცხადა გიორგი ბურჯანაძემ.

– ქალბატონ ნატოს ხშირად ვეუბნები -თქვენ რომ კავკასიური კურდღლის ან ველის გიურზას დაცვის ფონდი გქონდეთ, შეკითხვის გარეშე გადმოგერიცხებათ თანხა და ბანკი ანგარიშსაც გაგიხსნით, როგორც სხვა აბდაუბდა პროექტები ფინანსდებიან თქო. სავარაუდოდ, ქვეყანაში, სადაც საბანკო სექტორს სესხებზე 16% და მეტი აქვს დადებული, 2%-იანი კრედიტის შემოდინება და საჩუქრად სახლების აშენება ვიღაცეების კორუფციულ ინტერესებს დააზარალებს. რა თქმა უნდა, უარის ოფიციალური მიზეზები სხვა აქვთ. თურმე, უშიშროების სამსახურები რაღაც რისკებს ხედავენ, ფულის წარმომავლობა აეჭვებთ და ა.შ. რაც სრული სისულელეა, რადგან საუბარია ავტორიტეტულ და გავლენიან ფონდზე, რომელსაც როგორც ქალბატონმა ნატონ აღნიშნა როტშილდების და მორგანების ფონდებთან აქვს ურთიერთობა. მაშინ, ვის და რატომ არ აწყობს ჩვენი მოქალაქეების მდგომარეობის შემსუბუქება? საქართველოდან გასული ემიგრანტების რიცხვი ყოველწლიურად იზრდება. ხალხი ოჯახებიანად გადის ქვეყნიდან და ლტოლვილთა ბანაკებში ბარდება. ვინც ვერ მიდის, ზოგი თავს იხრჩობს, ზოგი ვენებს იჭრის, ზოგი ნერვიულობით კვდება და ეს ერის ტრაგედიაა. ბატონებო, დროა, კერძო ინტერესებზე მაღლა ქვეყნის ინტერესები დააყენოთ, თორემ აღარც მარშების გამართვა გვიშველის და აღარც პატრიოტული ლექსების წერა. ისე არა ვქნათ, რომ მალე საქართველოში ქართველი სანთლით საძებნელი იყოს.

ნელი თორდია
571 35 36 88

მიმართვა საქართველოს ხელისუფლებას

სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა.

ჩვენთან არს ღმერთი.

ამ მიმართვას ვწერ ღმერთის შთაგონებით, მართლმადიდებელი მღვდელი, აღშფოთებული ბოლო ჟამის შემაძრწუნებელი მოვლენებით, რომელიც მართულია მსოფლიო ანტიქრისტიანული ბნელი ძალების მიერ, შინაური, ქართველთ დაუძინებელი მტრების, არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლების თანამონაწილეობით, რათა ამოძირკვონ ყოველგვარი სარწმუნოებრივი და ტრადიციული.

გაუწყებთ: ძალიან ახლოს არს უფლის მეორედ მოსვლა. უფალს სურს გადაარჩინოს მისი რჩეული მართლმადიდებელნი.

მსოფლიო მასონიზმის მიზანი არის — დაშალოს, დაანაწევროს, ერთმანეთს განაშოროს მართლმადიდებელნი და მერე იბატონოს. ეს პროცესი ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობას. რუსეთი უძლიერესი, ერთმორწმუნე — მართლმადიდებელი ქვეყანაა და სწორედ ჩვენი დაპირისპირება აძლევს ხელს ანტიქრისტეს მოციქულებს.

მოგმართავთ უფლის სახელით: გამოიჩინეთ სიმდაბლე, რამეთუ უფალი მაღალს დაამდაბლებს, ხოლო მდაბალს აღამაღლებს, სასწრაფოდ დასხედით მშვიდად, გონივრულად გადაწყვიტეთ ეს ურთულესი პრობლემა.

მივმართავ ვლადიმირ პუტინს: „მართალია, თქვენ გაღიზიანებული ბრძანდებით (საფუძვლიანადაც) ყოფილი ჯალათი პრეზიდენტის, საკაშვილის უხამსი ქმედებით, რომელიც ისე გაკადნიერდა, პიროვნულად შეურაცხგყოფდათ, რის გამოც დაზარადა ქართველი ერი.

სავალალოა ის ფაქტი, რომ საქართველოს ფაქტობრივმა ხელისუფლებამ არ მიმართა დიალოგის მშვიდობიან ფორმას. პირიქით, საკაშვილის კურსი გააგრძელა გზა, საიდანაც ნიაღვარიოვით მოედინება ყოველგვარი სიბილწე, მამათმავლობა,. ლესბოსელობა და სხვა ღვთის მგმობი მავნე ჩვევები. მათი მიზანია პატიოსნება და წესიერება დაცინვის საგანი გახდეს, ნერგავენ ხალხში ლოთობას, ნარკომანიას, ღალატს, ერთმანეთის მიმართ შუღლს, ძირკვავენ სულიერ ფესვებს. მთავარი კი ახალგაზრდების გარყვნა იქნება, დასცემენ ადამიანთა ზნეობას. სწორედ ნატოს ძალისხმევით გაანადგურეს საბერძნეთში ათასობით მართლმადიდებლური კულტურის ძეგლი.

როცა ხელისუფალი აცხადებს: „კომუნიზმი დამთავრდა საქართველოში და ჩვენ ილიას გზით მივდივართო“. შევახსენებთ: დიდი ილიას, აკაკის და სხვა მამულიშვილთა გზა არ არის ის გზა, რომელიც თქვენ აირჩიეთ. ილიას და აკაკის გზა რუსეთთან მეგობრული ურთიერთობა იყო. 1899 წელს სტატიაში „ასის წლის წინათ“ დიდი ილია წერდა: „ამ ღირსსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა... დამშვიდდა... დაღალული ქუეყანა დაწყნარდა აკლებისა და აოხრებიოსაგან, დადუმდა ჟღერა ხმლისა“.

„დიდი რუსეთის გარეშე არა არს ხსნა საქართველოსა და ქართველებისთვის. ერის სულიერი მამა საქართველოს ხსნის გზას სულიერ ამაღლებაში ეძებდა და არა ანტიდისკრიმინაციული საბედისწერო კანონის მიღებაში, რომელშიც ჩადებულია ერთსქესიანთა შორის სამოქალაქო პარტნიორობის დაკანონება“. ვიღაც-ვიღაცები მოწადინებული იყვნენ, ჯვრისწერაც დაეკანონებინათ, მათთვის, მაგრამ, ჯერჯერობით, არ გამოუვიდათ. ეს ნაღმი დევს დღეს ჩვენი ერის წინაშე საზღვარგარეთიდან შემოსული ბინძური გრანტების საფასურად.

დღეს საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობაზე ბევრი რამ არის დამოკიდებული.

ღმერთის ნება არს აღსდგეს, ჩვენ შორის მეგობრული ურთიერთობა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს ქვეყნებს, საქართველოსა და რუსეთს, ღვთის საშინელი რისხვა დაატყდება თავს.

კიდევ ერთხელ მოვუწოდებ ხელისუფლებას; პირადი ინტერესები გვერდზე გადადეთ, ერთმანეთის შეურაცხყოფას შეეშვით, რეალობას თვალები გაუსწორეთ და მიიღეთ გონივრული გადაწყვეტილება. საქართველოს მარტო თქვენ არ წარმოადგენთ, მის ბედს ხალხი წყვეტს. ნუ შეუშინდებით საკაშვილს და მის ბანდას, რომელმაც საქართველოს ტერიტორიების 20% მუხანათურად მიართვა რუსეთს, მოახდინა ომის ესკალაცია და ორი მართლმადიდებელი ერი ერთმანეთს გადაკიდა. სწორედ მისგან იღებს საღაველ სოდომ-გომორის ცოდვა, რომლის მორევშიც თანდათან ვეფლობით.

ღვთის ნებითა და ქართველი ერის სახელით მოვითხოვთ, ყურად იღეთ უზენაესის ნება, მიუჯექით მოლაპარაკების მაგიდას, რათა თავიდან ავიცილოთ ღვთის სასჯელი, გადავარჩინოთ ჩვენი ქვეყნები, რომელთაც ქრისტე აერთიანებს. სანამ გვიან არ არის, გამოასწორეთ წინა ხელისუფლების მიერ დაშვებული საბედისწერო შეცდომები, რამეთუ მეტად მწარე რეალობის წინაშე ვდგავართ. ქვეყანა თავზე გვენგრევა, ერი გადაგვარების გზას ადგას. გეშინოდეთ, ამას ღმერთი არ გაპატიებთ. აღადგინეთ რუსეთთან ჩვენს წინაპართა დროინდელი ურთიერთობა.

შევთხოვ უფალს, შეგეწიოთ ერის საკეთილდღეო გადაწყვეტილების მიღებაში.

გლდანის ივერიის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის ეკლესიის წინამძღვარი

მამა ბასილი

(მკალავიშვილი)

ცივი და მღვრიე პოლიტიკური ზაფხული

გამართლდა იმ ექსპერტების ვარაუდი, რომლებიც დიდი ოცეულის დასრულების შემდეგ აცხადებდნენ, რომ ტრამპისთვის მთავარია ორმხრივი ურთიერთობებიო. როგორც ჩანს, საფრანგეთთან, უფრო ზუსტად, მის ხელისუფლებასთან ურთიერთობა საკმაოდ თბილი გახდა, მაგრამ რა იქნება დანარჩენ ქვეყნებთან, თუნდაც გერმანიასთან მიმართებაში, პოლიტოლოგების თქმით, ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული.

სამაგიეროდ, კონგრესში ხმამაღლა ალაპარაკდა რამდენიმე სენატორი ტრამპის იმპიჩმენტზე. პოლიტოლოგების ვარაუდით, ტრამპის გუნდის წევრებს დიდი თავის მტვრევა მოუწევთ მოწინააღმდეგეთა გასანეიტრალებლად, რომლებსაც ბევრი „კოზირი“ აქვთო, აცხადებენ. თვით პოლიტოლოგების თქმით, ტრამპთან დაპირისპირებული მხარისთვის მთავარია, შეთხზან ახალი ტყუილი, ააგორონ ახალი სკანდალი. ლიბერალები ტრამპს სისუსტეს აბრალებენ, მაგრამ არაფერს ამბობენ იმაზე, თუ რატომ დაიკარგა კლინტონის კომპიუტერიდან 30 ათასზე მეტი წერილი, რომელიც სოციალურ ქსელებში გავრცელდა, მის კავშირებზე რედიკალურ ისლამისტებთან.

დონალდ ტრამპის ადმინისტრაცია შეშფოთებულია, რადგან მის მიერ დაანონსებული თითქმის ყველა პროგრამა შეჩერებულია და ჯერაც ვერ დაუწყია განხორციელება. ექსპერტების განცხადებით, ტრამპი კაპიტალით, დასაქმებით და ცხოვრების დონის გაუმჯობესებით ცდილობს მოწინააღმდეგეთა განეიტრალებას. მათივე ვარაუდით, ერთ-ორ თვეში გამოჩნდება, შეუძლია თუ არა მათი შეჩერება. თუ არ ჩაცხრა მასთან ბრძოლა, შეიძლება ხალხს, მოსახლეობას მიმართოს, რომ დანაპირების განხორციელებაში ხელს უშლიანო. თუმცა ასეთ რადიკალურ ნაბიჯს რა მოჰყვება, არაფერს ამბობენ. ვაშინგტონში ახლა ბრძოლა გამარჯვებამდეო, აცხადებენ პოლიტოლოგები.

საინტერესია ის გარემოებაც, რომ პენტაგონის გენერლები და ამერიკელი პოლიტიკოსები, მათ შორის, მაკ კეინი, ვარაუდობენ ავღანეთში მოსალოდნელ კატასტროფულ დამარცხებაზე იმ შემთხვევაში, თუ სამხედროების რაოდენობა არ გაიზრდება (შეგახსენებთ, რომ ობამამ ჯარების დიდი ნაწილი გაიყვანა ავღანეთიდან თავისი პრეზიდენტობისას). მათივე განცხადებით, საფრთხის მომტანი ქვეყნებია ასევე ჩრდილოეთ კორეა და ერაყი.

„დიდი ოცეულის“ სამიტზე ტრამპი-პუტინის შეხვედრის შემდეგ პოლიტოლოგების უმრავლესობა იმედს გამოთქვამდა, რომ ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის გაუმჯობესდებოდა. ტრამპიც აცხადებდა, საუკეთესო შეხვედრა იყოო. თუმცა, პუტინთან მიღწეული შეთანხმების სამი პუნქტიდან სრულფასოვნად ჯერჯერობით მხოლოდ ერთი ამუშავდა. სირიაში დროებით შეწყდა ცეცხლი, უკრაინის პრობლემებზე კი მხოლოდ ახლა დაიწყო ქმედითი მუშაობა, ხოლო, რაც შეეხება კიბერუსაფრთხოებას, ამ საკითხზე თანამშრომლობაზე ტრამპმა უარი სამიტიდან ორი დღის შემდეგ თქვა.

აშშ-რუსეთის ურთიერთობის გაუმჯობესებისა რა გითხრათ, მაგრამ ვითარება, ექსპერტების განცხადებით, კვლავ დაიძაბა. მიზეზი შარშან წლის ბოლოს აგორებული სკანდალის გაგრძელებაა. დეკემბრის მიწურულს ობამას ადმინისტრაციამ 35 რუსი დიპლომატი გააძევა ქვეყნიდან. ამასთან, საელჩოს ჩამოართვეს დიპლომატიური ქონება, რომელიც უკვე საუკუნეა, რუსეთის საკუთრებაშია.

სავარაუდოდ, ქონების დაბრუნებას არც დღევანდელი ადმინისტრაცია აპირებს. სახელმწიფო დეპარტამენტის წარმომადგენელმა ულტიმატუმი წაუყენა: „თუ დავინახავთ, რომ რუსეთს მართლა სურს სირიაში ცეცხლის შეწყვეტა, იმ შემთხვევაში დავუბრუნებთ დიპლომატიურ ქონებასო“. გარდა ამისა, ამერიკული მხარე არც გაძევებული დიპლომატების შემცვლელებს აძლევს ქვეყანაში შესვლის ნებას. ყოველივე ამ გარემოებამ რუსეთის მკვეთრი გაღიზიანება გამოიწვია. მართალია, პუტინს დიალოგის გაგრძელების იმედი აქვს და აცხადებს, რომ ომს არავისთან აპირებს.

გია ბურდული
551 71 27 07

პოლიტიკური შიზოფრენიის ზღვარზე

გვესაუბრება „გლობალური კვლევის ცენტრის“ ხელმძღვანელი ნანა დევდარიანი:

— ქალბატონო ნანა, რუსეთ-საქართველოს თემა, მას შემდეგ რაც საოკუპაციო ხაზმა კიდევ 700 მეტრით გადმოიწია, კვლავ აქტუალური გახდა. ამასთან დაკავშირებით საოკუპაციო ხაზთან აქციებიც გაიმართა. რა საფრთხეებია ამ კუთხით მოსალოდნელი და რაში ხედავთ გამოსავალს?

— დავიწყოთ იმით, რომ აქ, საპროტესტო აქციების გამართვა არაფერს შველის. ეს, დაახლოებით, იგივეა 9 აპრილს ჩვენი ტელევიზიით სულ სხვა რამეს რომ ვამბობდით და ცენტრალური ტელევიზიით აბსოლუტურად სხვა რამ გადაიცემოდა. აუცილებელია დიალოგი. ყველა მსგავს ფაქტზე, შესაბამისი უწყებების მხრიდან, რეაგირება დაუყოვნებლივ უნდა ხდებოდეს. თორემ, აქ, გამართული პროტესტი მოვლენებზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენს. ეს ერთი. მეორე — საქართველოს ხელისუფლებაში, ზურაბ აბაშიძის გარდა, ერთი პირიც კი არ მოიძებნა, რომელსაც ისეთ რთულ მეზობელთან როგორიც რუსეთია დიალოგის წარმოება უშუალოდ შეეძლება. მეგვაქვს ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები. ამიტომ, უნდა ეძებო სად ემთხვევა ეს ინტერესები ერთმანეთს და სად რისი ურთიერთდათმობა შეიძლება.

— რუსებს, ამჯერად, ცენტრალური მაგისტრალის გადაკეტვამდე 500 მეტრი აშორებთ. ამ კუთხით რა საშიშროებას ხედავთ?

— რუსეთმა მხოლოდ სირიის მაგალითზე დაამტკიცა რა შეუძლია — ორი ქვეყნის თავზე გადააფრინა რაკეტები და მიზანშიც მოახვედრა. ამდენად, თუ რუსეთი მოინდომებს მას არც 500 მეტრში არსებული ცენტრალური მაგისტრალის დაპატრონების პრობლემა ექნება და არც დანარჩენი საქართველოსი. მით უმეტეს, ახლა, როცა მთელი მსოფლიო — მოსწონს მას რუსეთი თუ არა, აკრიტიკებს თუ არა, იძულებულია მას ანგარიში გაუწიოს. ხომ უნდა დავფიქრდეთ — ამ ურთულეს მდგომარეობაში მყოფნი იმის იმედად ვართ, ვინც რუსეთს თავად არ ეუპირისპირდება და ჩვენს გამო ნამდვილად არ აიტკივებს თავს. იქნებ, თავად გამოგვჩინა ინიციატივა და მეზობლისთვის კონკრეტული წინადადებები შეგვეთავაზებინა. ჩვენ კი, ნაცვლად იმისა, რომ საკუთარი ინტერესების დასაცავად თავად

სამეც — რატომ გვავიწყდება, რომ საკაშვილმა გაუქმებული სამხრეთ-ოსეთი იმ ავტონომიის საზღვრებში აღადგინა. ახლა, ფაქტობრივად, მავთულხლართებისა თუ ღობეების შენებლობა მაშინდელი ადმინისტრაციული საზღვრის მიხედვით ხდება. ოსური ადმინისტრაციის შექმნის რა აუცილებლობა იყო, თანაც ორის?! ვის ატყუებდა ჭკუაში, ან ამით რა მოიგო? საბოლოოდ, ყველამ კარგად ვიცით ეს რითაც დამთავრდა. აი, ამ ყველაფრის ერთობლიობა გახლავთ ახლა პრობლემის სათავე. კი, ზურაბ აბაშიძე პროტესტს გამოთქვამს, მაგრამ მას პოლიტიკური მოლაპარაკებების საწარმოებლად მანდატი არავინ მისცა. მის მანდატში მხოლოდ ჰუმანიტარული და ეკონომიკური საკითხები შედის.

— ქალბატონო ნანა, „პატრიოტთა ალიანსის“ წარმომადგენლებმა რუსეთის სათათბიროში მოლაპარაკებები გამართეს. რას იტყვით მათ მიერ გაჟღერებულ შემოთავაზებებზე?

— ეს კარგი შეთავაზებაა ისევე როგორც თავის დროზე ნინო ბურჯანაძის ინიციატივა იყო ძალიან კარგი: ჯერ პირდაპირი დიალოგის წამოწყების, მერე კი უბლოკო სტატუსის შექმნის შესახებ. სხვაგვარად, რუსების ბაზების გაყვანის პერსპექტივა ბუნებაში არ არსებობს.

ჩვენი პოლიტიკური ელიტა, ბოლოსდაბოლოს, ხომ უნდა მიხვდეს, რომ რუსეთი თავისი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოდის. ჩვენც ვიმოქმედოთ, მუდმივად პატრონის ძიებაში ვართ. თავის დროზე ზვიად გამსახურდიამ თქვა: ჩვენ, ერთი იმპერიიდან იმიტომ არ გამოვედით, რომ მეორე იმპერიაში შევიდეთო. არავითარი პატრონი არასოდეს არ გეყოლება იმიტომ, რომ ყველა თავის ინტერესებს ახორციელებს და ნუ გვგონია ვინმე იმაზე ზრუნავდეს, რომ რაღაც მოგვაგებინოს. აქ, პოლიტიკოსები პოლიტიკაში თავს იმით ინარჩუნებენ ვინ უფრო ხმამაღლა იყვირებს, რომ ნატოში უნდა გაწევრიანება მაშინ, როცა ვიცით, რუსეთისთვის ეს სრულიად მიუღებელი სცენარია. იქნებ, დროა დაფიქრდნენ და სხვა ფორმულირებებიც მოძებნონ.

— ამ სხვა ფორმულირებაში რუსეთთან დალაპარაკებაც ხომ არ შედის?

— ქვეტექსტები რომ არ ვეძებოთ, პირდაპირ გეტყვით: ბოლო წლებში რუსეთის ხელმძღვანელობიდან სამჯერ ითქვა ასეთი რამ: არ არსებობს საკითხი, რაზეც დალაპარაკება არ შეიძლებაო. აქედან კი საოცარ პასუხებს ისმენენ. მაგალითად, მარგველაშვილმა საერთოდ ფენომენალური ფრაზა თქვა — ჩემს დასავლელ პარტნიორებს დაველაპარაკები და როგორც მირჩევენ, ისე მოვიქცევიო. ანუ, იგი იმასაც კი ვერ ახერხებს, რომ ეს ხმამაღლა არ თქვას. ანუ, პრეზიდენტის თქმით რა გამოდის — დასავლეთის უკითხავად ვერაფერს გავაკეთებო. ამას უნდა ამბობდეს სუვერენული სახელმწიფოს ხელმძღვანელი?!

— მუდმივად დაძაბული ვითარების შენარჩუნება, თუნდაც საოკუპაციო ხაზების გადმოწევა, როდემდე შეიძლება გაგრძელდეს? ასე ახალ 2008 წელს ხომ არ მივიღებთ?

— საქმე იმაშია, რომ ამ ამბავს ახალი 2008 წელი არ სჭირდება, ისედაც ყველაფერი ძალიან ცუდად არის, გეტყვით თუ რას ვგულისხმობ: სამხრეთ-ოსეთის იგივე სამაჩაბლოს და აფხაზეთის კონფლიქტებიდან მრავალი წელი გავიდა და რუსეთს ეს რეგიონები არ უღიარებია. 2008 წელს სააკაშვილმა თავისი უგუნურობით ისეთი პირობები შექმნა, რომ რუსეთს აღიარების საშუალება პირდაპირ ხონჩით მიართვა. რომ არა მისი მხრიდან განხორციელებული ქმედებები, დღეს, სხვა შედეგი გვექნებოდა. არსებობს დასაბუთებული ეჭვები იმის შესახებ, რომ თითქოს, სამშვიდობოების ხელმძღვანელობასთან კულუარული მოლაპარაკებები ჰქონდათ და ეგონათ, გარანტირებულნი იყვნენ, რომ პასუხს არ მიიღებდნენ. ეს უკვე მიამიტობაც აღარ არის, არამედ სისულელის ზღვარზეა. ამ ვითარებაში როცა უკვე რუსეთმა აფხაზეთის და ე.წ. სამხრეთ-ოსეთის დამოუკიდებლობა

აღიარა, ამის უკან წაღება ძალიან რთულია. მაშინ რუსეთს ძალიან წონადი არგუმენტი უნდა შესთავაზო. მაგრამ ამ არგუმენტებზე ვინ უნდა ელაპარაკოს, თუ არა საქართველოს ხელმძღვანელობა?

ჩვენი პოლიტიკური ელიტა, რომელიც ხალხზე ათჯერ, ოცჯერ უკეთ ცხოვრობს, საუკეთესო პირობები აქვს და მათი კეთილდღეობა მართლაც კეთილდღეობაა, ყველაფერს თავისი გადასახედიდან უდგება და გეკითხება: რატომ არ ხარ ბედნიერიო. ეს იმიტომ ხდება, რომ მაძღარს მშიერის არასოდეს ესმის.

— აპატურაი ხან გვეუბნება ვერ მიგიღებთ ნატოში — თქვენს გამო რუსეთს ვერ გადავიკიდებთო, ხან გაიძახის მეტი ნატო საქართველოშიო. ეს რა ლოგიკაა?

— პოლიტიკაში მიღებულია გარკვეული სლოგანების შექმნა, რაც ილუზიას ქმნის, თითქოს, რაღაცაში წინ წავედით — ხან ოქროს ბარათი შემოგვთავაზეს, ხან მაპზე უკეთესი, ხან რა და ხან რა. როცა ვამბობ ნატოში არ მიგვიღებენ-მეთქი, მედიის განვითარების ფონდი ჩემზე წერს: თითქოს მე, ანტიდასავლურ პროპაგანდას ვეწევი. კარგად დააკვირდნენ — მარტო აპატურაი კი არა, ამას ამბობს ნატოს ნებისმიერი ქვეყნის ლიდერი, ან მათი ელჩების წარმომადგენლები (თუკი მათ საქართველოზე საუბარი მოუწევთ). მაშინ გამოდის, რომ საფრანგეთის პრეზიდენტი, გერმანიის კანცლერი და ა.შ. ანტიდასავლური პროპაგანდის გამტარებლები ყოფილან და ამ ყველაფერში ისევ დასავლეთი იხდის საკმაოდ დიდ გრანტს. ხვდებით, ხომ რა აფსურდში ვცხოვრობთ? უკვე ისეთ მარაზმამდე მივიდნენ, რომ ამბობენ, მიწის გასხვისების აკრძალვა რუსული ნარატივიაო.

— ახლახან, ზალბერი ე.წ. სამხრეთ-ოსეთსა და აფხაზეთში იმყოფებოდა, სადაც მოსახლეობას დაპირდა, შევეცდები საქართველოს ხელმძღვანელობა დავარწმუნო „ძალის გამოუყენებლობის შესახებ“ დოკუმენტს ხელი მოაწეროსო. ეს რას ნიშნავს?

— ვერც აფხაზს და ვერც ოსს ჩვენსკენ ვერასოდეს მოვაბრუნებთ თუ ჯიუტად არ ვეტყვით, რომ მათ წინააღმდეგ იარაღს აღარ გამოვიყენებთ. იმიტომ, რომ ამის პრეცედენტი ორჯერ იყო სამაჩაბლოშიც და აფხაზეთშიც. დღეს, იგივე, დასავლური ქვეყნები, ნდობის აღდგენის პროექტებში, გრანტებს ხარჯავენ, მაგრამ ამის მიღწევა, 2008 წლის შემდეგ, უკიდურესად რთულია. რატომ მოშალეს და დაანგრიეს ის, რაც ადამიანებმა ყოველგვარი პოლიტიკოსების ჩარევის გარეშე თვითონ შექმნეს და ერთმანეთთან ურთიერთობაში შევიდნენ? აი, ეს არის სააკაშვილის ერთ-ერთი ყველაზე დიდი დანაშაული. მეორე მხრივ, როცა იცი, რომ ორ შენს რეგიონს ზურგს რუსეთი უმაგრებს, რომელიც უკვე საკუთარ ქვეყანაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე კი არა, სირიაში ცვლის სამხედრო პოლიტიკურ ამინდს, განა ვერ უნდა მიხვდე, რომ მას სამხედრო ძალით ვერ დაუპირისპირდები?! მაგრამ ესეც არ არის მთავარი. მთავარი ის არის, რომ თუკი გინდა, რომ აფხაზები და ოსები ოდესმე ისევ შენი თანამოქალაქეები იყვნენ, რაც აუცილებლად უნდა მოხდეს, მათ უნდა იცოდნენ, რომ შენ იარაღის ენაზე არ დაელაპარაკები. თუმცა, სააკაშვილი აქ, სადაც მისი იურისდიქცია ვრცელდებოდა, უპირისპირდებოდა ადამიანებს იარაღით, ძალადობით და ტერორით, და რა შეუშლიდა ხელს იგივე აფხაზებისა და ოსების წინააღმდეგ გაეკეთებინა?!

— ხომ არ მოქმედებს გეგმა — საქართველოს მინუს აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთი და პლუს ნატო?

— თამარ, თუ ჩვენს პრო-დასავლურ ექსპერტებსა და პოლიტიკოსებს ყურადღებით მოვუსმენთ, ის რაზეც თქვენ მეკითხებით, შეუიარაღებელი თვალითაც კი ჩანს რომ ასეა. კერძოდ, ისინი ამბობენ, რომ აფხაზეთის და სამაჩაბლოს საკითხი ჩვენს ნატოში შესვლასთან არავითარ კავშირში არ არის. როცა ეკითხები, ეს რას ნიშნავს — ანუ, ნატოში აფხაზეთის და სამაჩაბლოს გარეშე უნდა შევიდეთ? ამაზე გეუბნებიან — არა, არამედ საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. უბრალოდ, ამ შემთხვევაში, სტატუს-ქვო შენარჩუნდება, რომ ჩვენი იურისდიქცია ამ ორ რეგიონზე არ ვრცელდება და სავარაუდოდ, არც აღარასოდეს გავრცელდება. აი, ეს არის. იძახიან, ეს სტრატეგიული მოთმინებაა. სტრატეგიული მოთმინება კი არ არის, არამედ ის, რომ თავად აღიარებ — იმედიც კი აღარ გაქვს, რომ ოდესმე ამ რეგიონებს დაიბრუნებ. რაც შეეხება ნატოს და დასავლურ ქვეყნებს, მათ საქართველოში ძალიან დიდი ინვესტიციები აქვთ ჩადებული. საუბედუროდ, ეს ინვესტიციები ქართველ ხალხზე არანაირად არ ასახულა, არამედ ყოველთვის მის ელიტაზე ისახებოდა, რომელიც საკუთარ ინტერესებს, ხელისუფლებაში მოსვლას ან დარჩენას ემსახურება და არა იმას, რომ მე და თქვენ უკეთეს ქვეყანაში ვცხოვრობდეთ, გავამთლიანოთ იგი და ნორმალური გზით ვიაროთ. აი, რა არის ყველაზე დიდი პრობლემა.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„ღიად პროტესტული პროპაგანდა თსუ-დან“ თუ ღიად პროვოკაციული გალაშქრება პროფესორ დენიზა სუმბაძის წინააღმდეგ?!

ჩვენი განცხადების სათაური: „ღიად პროტესტული პროპაგანდა თსუ-დან“ სათაური გახლავთ გაზეთ „რეზონანსის“ 2017 წლის 5 ივნისის ნომრის მოწინავე წერილისა, რომელიც წარმოადგენს ავანტიურისტულ მიმოხილვას ერთერთი საუნივერსიტეტო სამეცნიერო სხდომისას, რომელსაც ჯერ ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი გამოეხმაურა ტელევიზიით, ხოლო შემდგომ ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის ვიცე-რექტორი, ბატონი მიხეილ ჩხენკელი.

მიმდინარე წლის 30 მაისს, თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტში, პროფესორ დენიზა სუმბაძის ინიციატივით ჩატარდა „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ სხდომა. ქ-ნი დენიზა სუმბაძე დღევანდელობას არ განიხილავს წარსულისაგან მოწყვეტით. პირიქით. მისეული სიღრმისეული ანალიზი დღევანდელობისა გაცხადებაა და შედეგია წარსულისა, რის გამოც მას დღევანდელობის გასაგებად და მოვლენათა ასახსნელად ხშირად უხდება ძველი ცივილიზაციებისა და რელიგიური პროცესების განმარტება დღევანდელი გადასახედიდან. ამ თვალსაზრისით, მის მიერ 2017 წლის 30 მაისის სხდომისათვის მონიშნული ნიუ იორკის ქართველოლოგიური ცენტრის: „ბიბლია და საქართველოს“ თანამშრომლობის პრობლემა თბილისის უნივერსიტეტის არეოპაგიტულ ცენტრთან თუ „ეროვნული პრობლემების ანალიტიკური დარბაზის“ პრობლემებთან, ჩვენი ეროვნული საღვთო კულტურის ისტორიის საკითხებსაც მოიცავდა. აღნიშნულ სხდომაზე ჩვენს მიერ წარდგენილ მოხსენებაში, ჩვენ საშუალება გვქონდა გვემსჯელა იმ მემკვიდრეობების წარმოჩინებისა და გამომზეურების საჭიროებაზე, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის საღვთო კულტურის ეროვნულ საუნჯეებს წასრმოადგენს. მხედველობაში გვაქვს „ქართული საღვთო კულტურის ისტორიული მემკვიდრეობანი რაჭა-ლეჩხუმ-სვანეთში, ანუ ისტორიულ ედენაში და ჩვენს მიერ სოფელ ფუტიეთის ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის დაფუძნება, როგორც მემორიალისა 1819–1820 წ.წ. რუსეთ-საქართველოს საეკლესიო ომის გმირთა ხსოვნისათვის“. რამდენადაც ჩვენს მოხსენებაში გამოკვეთილი იყო, თუ რა როლი შეასრულა რუსეთის იმპერიამ ამ საღვთო კულტურის მოსპობაში 1819–20 წ.წ. საეკლესიო ომის გაჩაღებით, შეიძლება ითქვას, რომ ფაქტიურად ჩვენი მოხსენება ანტირუსული იყო, მაგრამ ჩვენი 30 მაისის სხდომის ოპონენტები არ დაინტერესებულან ამით.

სამწუხაროდ, პრესამ და ტელევიზიამ ამ სამეცნიერო ღონისძებას, სულ სხვა გასაჯაროვება მისცა, რაც სრულებით არ ასახავს ამ სამეცნიერო სხდომის ნამდვილ არსს და წარმოადგინეს ისე, ვითომდაც ეს სამ საათიანი სხდომა იყო მხოლოდ ტრისტან წითელაშვილის მიერ ადგილიდან წარმოთქმული განცხადება, როგორც „ღიად პროტესტული პროპაგანდა თსუ-დან“. ეს მაშინ როცა, ჩვენს მოხსენებაში ხაზგასმულად იყო საუბარი რუსეთ-საქართველოს იმ საეკლესიო ომის მძიმე შედეგებზე, რომელმაც ქართული მართლმადიდებლური ცნობიერება მიიყვანა დაღუპვამდე, რომლის მძიმე შედეგებს დღემდე ვიმკით. **დაუჭვებელი ფაქტია, რომ ამ მეცნიერული ღონისძიების დისკრედიტაცია და პოლიტიკურ შანტაჟად გახმაურება, ვიღაცის მიერ, განზრახ იქნა ორგანიზებული.**

1819–1820 წლების ეკლესიური ომის მემორიალური მუზეუმი, კატეგორიულ პროტესტს აცხადებს ამ ცრუ „მასმედიური შოუს“ მიმართ და მოვითხოვთ ჟურნალისტურ გამოძიებას, რათა გამოაშკარავდნენ ამ დანაშაულის მონაწილენი, რომელთაც დიდი შეურაცხოფა მიაყენეს არა მარტო სხდომის ორგანიზატორს, ქ-ნ დენიზა სუმბაძეს და ამ სხდომის მონაწილე საზოგადოების უმრავლესობას, არამედ 1819–1820 წ.წ. რუსეთ — საქართველოს ორწლიან საეკლესიო ომში მონაწილე თავშეწირულ გმირებს, რომელნიც ქართული ეკლესიის ამ თავშეწირული დაცვისათვის, მხოლოდ მოწიწებას და დიდ პატივს იმსახურებენ ჩვენგან.

თსუ-ს 2017 წლის 30 მაისის სამეცნიერო სხდომის მომხსენებლები:

მამა ავთანდილ გიორგობიანი – ამბროლაურის რაიონის სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის წინამძღვარი, მეცნიერებათა დოქტორი.

გიული შალიკაშვილი – სოფელ ფუტიეთში არსებული ფუსტელთა სკოლა-მუზეუმის ხალხური მართლმადიდებლური ფოლკლორის „ედენას“- დამფუძნებელი, პოეტი და ფოლკლორისტი.

დემოკრატიის კრიზისი თურქეთში

ერთი წელი გავიდა თურქეთში არშემდგარი სამხედრო გადატრიალების შემდგომ. ჯერ კიდევ მაშინ, საერთაშორისო თუ თურქი ჟურნალისტები, მკვლევარები, ოპოზიციის წარმომადგენლები თუ ხელისუფლების მოქმედი წევრები აცხადებდნენ, რომ თურქეთი აღარ იქნებოდა ისეთი სახელმწიფო, რომელიც გადატრიალების მცდელობებს შეეგუებოდა. ეს სიტყვები და მოლოდინი გამართლდა, ოღონდ მხოლოდ თურქული დემოკრატიის საწინააღმდეგოდ. გადატრიალების მცდელობისათვის დაკავებულ სამხედროთა და პოლიციელთა რაოდენობა 15 ათასს აჭარბებს, თუმცა წმენდაში მოყვნენ ისეთი ადამიანებიც, რომელებიც დაკავშირებულნი იყვნენ საუნივერსიტეტო თუ სასკოლო საგანმანათლებლო სფეროსთან, იყვნენ ჟურნალისტები, საჯარო თუ კერძო მოხელეები და სხვა. ის ადამიანები, რომლებიც მიუღებელნი შეიძლება ყოფილიყვნენ თურქეთის მოქმედი ხელისუფლებისათვის, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობის, მათთან თანამშრომლობის ან გადატრიალების ხელშეწყობის ბრალდებით იქნენ სამსახურიდან გათავისუფლებულნი ან დაკავებულნი. მთლიანობაში მათი რიცხვი ასი ათასს აჭარბებს. წმენდის პროცესი უკვე ერთი წელია მიმდინარეობს. ამას ემატება ისიც, რომ თურქეთში ახლაც მოქმედებს ერთი წლის წინ გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობა, რაც გამჭირვალობის პროცესს არ უწყობს ხელს.

რეჯეფ თაიფ ერდოღანი და მისი ხელისუფლება 2016 წლის გადატრიალების მცდელობამდეც არ გვევლინებოდა სეკულარიზმისა და ლიბერალური დემოკრატიის აქტიურ მხარდამჭერად. თუმცა აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თავდაპირველად მას ევროპული კურსი ჰქონდა არჩეული, რომელიც თანდათან შეიცვალა. ქვეყანაში ეტაპობრივად შეიზღუდა ალკოჰოლის გაყიდვა, სასწავლო დაწესებულებებში კვლავ დაშვებული გახდა თავსაბურავისა და სხვა რელიგიური ატრიბუტების ტარება, დაწესდა კონტროლი და შეზღუდვები ინტერნეტზე, დაიწყო პოლიტიკურ ოპონენტების დევნა, ძალის გამოყენებით დაშლილ იქნა 2013 წლის ტაქსიმის მოედნის მანიფესტაცია, რომელიც ხელისუფლების ავტორიტარიზმისაკენ გადახრას აპროტესტებდა.

ყველაფერ ამას ემატება ისიც, რომ 16 აპრილის რეფერენდუმით – რომელიც მოქმედი ხელისუფლების სასარგებლო შედეგით დასრულდა, თუმცა ოპოზიციამ შედეგების ნამდვილობა ეჭქვეშ დააყენა – თურქეთი საპარლამენტო რესპუბლიკიდან ნახევრად საპრეზიდენტო რესპუბლიკად იქცა. ამას დაემატა ისიც, რომ პრეზიდენტს მიენიჭა პარტიული წარმომადგენლის შენარჩუნების უფლებაც: თუ აქამდე ამ პოსტის დაკავებისას პრეზიდენტი ტოვებდა პარტიულ მანდატს, ახლა მას ეს ვალდებულება აღარ აქვს. ეს ყველაფერი კი იმის ფონზე, რომ ოპოზიცია თურქეთში მუდმივი ზეწოლის ქვეშაა.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა რომ თურქეთის პარლამენტში სულ ოთხი პარტიაა წარმოდგენილი: სამართლისა და განვითარების პარტია (**AKP**) – რომელიც ფლობს უმრავლესობას და წარმოადგენს ხელისუფლებას. პარტია გამოირჩევა თავისი მემარჯვენე, პროისლამური პოზიციით. თუმცაღა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხელისუფლებაში მოსვლის პერიოდში (2002), პარტია აქტიურად უჭერდა მხარს ევროინტეგრაციას, ქვეყნის დემოკრატიზაციასა და მოდერნიზაციას. მეორე მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორია სახალხო რესპუბლიკური პარტია (**CHP**) – მთავარი ოპოზიციური ძალა, რომლის სახელიც, იდეოლოგიაცა და პოლიტიკაც ქემალ ათათურქთანაა დაკავშირებული. პარტია მემარცხენე-ცენტრისტული ძალაა და აქტიურად უჭერს მხარს სეკულარიზაციას და თურქეთის ევროინტეგრაციას. პარლამენტში დანარჩენ ადგილებს იკავებენ ულტრანაციონალისტები და ქურთები. 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობას მხარი არცერთმა მათგანმა არ დაუჭირა და მკაცრად დაგმეს აღნიშნული მოვლენები, მაინც, ოპოზიციური ძალები და პოლიტიკური ოპონენტები იქცნენ პოლიტიკური დევნის ობიექტებად.

სწორედ ყოველივე ეს გახდა მიზეზი იმისა, რომ 2017 წლის 9 ივლისს სტამბულში ათიათასობით ადამიანი შეიკრიბა ხელისუფლების წინააღმდეგ გამართული მანიფესტაციისას. სამართლიანობის მოთხოვნა, მოქმედი მთავრობის არადემოკრატიული ქმედებების აღკვეთა და სეკულარიზმის დაცვა იყო მთავარი მოთხოვნები. მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროტესტს ჰქონდა ძალიან საინტერესო დასაწყისი:

რამდენიმე კვირის წინ თურქეთში იჭერენ მთავარი ოპოზიციური პარტიის – სახალხო რესპუბლიკური პარტიის – წევრსა და მოქმედ პარლამენტარს. ამის საპასუხოდ პარტიის ლიდერი **ქემალ ქილიჩდაროღლუ** – რომელიც 68 წლისაა – გადის ანკარის ქუჩებში და იწყებს ერთი კაცის პროტესტს და აცხადებს რომ იგი ფეხით, სრულიად მარტო მიემართება სტამბულისაკენ. მან გაიარა 425 კილომეტრი. გზაში მას ათიათასობით მხადამჭერი შეუერთდა, რომელიც 9 ივლისს ბოლო წლების ყველაზე დიდ ოპოზიციურ პროტესტად იქცა. პრეზიდენტმა ერდოღანმა მკაცრად დაგმო და გააკრიტიკა აღნიშნული მანიფესტაცია.

ბოლო წლებში თურქეთი თანდათან პოლარიზებული გახდა. ეს პროცესი განსაკუთრებით 2016 წლის გადატრიალების მცდელობის შემდეგ გაიზარდა. თურქეთს პოლარიზაცია 1970-ან წლებში გამოვლილი აქვს, რაც მაშინ მემარცხენეთა და ნაციონალისტებს შორის დაპირისპირებაში გამოიხატა. აღნიშნულ პერიოდში თურქეთი ამ პროცესებმა ძალიან დაასუსტა. დღეს კი დაპირისპირება ძირითადად პროსეკულარ დემოკრატებსა და შედარებით პროისლამურ ხელისუფლებას შორის ნელ-ნელა მწვავდება, რაც ქვეყნის დემოკრატიული და სტაბილური განვითარებისათვის ნამდვილად არ არის ხელსაყრელი.

გიორგი კობერიძე

გუგული მაისურაძე:

თბილისში სარკინიგზო ლიანდაგის გაუქმება არათუ დიდი შეცდომაა, არამედ უდიდესი დანაშაულია!

ბოლო დროს მასმედიაში გახშირდა საუბრები, რომელიც ეხება თბილისის შემოსავლელ რკინიგზის მშენებლობას. ვინაიდან, თბილისელთა უმრავლესობა არ არის ჩახედული ხსენებულ მშენებლობის საქმეში და, კიდევ, არსებობს მრავალი ექსპერტის ურთიერთსაწინააღმდეგო აზრები და გამონათქვამები, რომლებიც საზოგადოებას გზა-კვალს უბნევენ, ამიტომ ამ საკითხში გასარკვევათ მივმართეთ საქართველოს დამსახურებულ ინჟინერს, საპატიო რკინიგზელს, საქართველოს რკინიგზის ყოფილ აღმასრულებელ დირექტორს, **გუგული მაისურაძეს**.

— ბატონო გუგული, ეს მასშტაბური მშენებლობა ვისი იდეაა?

— თბილისის შემოსავლელი რკინიგზის მშენებლობა არ დამდგარა წინა ხელისუფლების დროს.



ამ გზის მშენებლობა გათვალისწინებული იყო ტრანსკავკასიის რკინიგზის მშენებლობისას, რომლის მიზანშეწონილობაც ჯერ კიდევ მეფის რუსეთის დროს იყო დაყენებული. **„კავგიპროტრანსის“** არქივებში ინახებოდა დასაპროექტებელი ტრასის სამი ვარიანტი. რკინიგზის ხელმძღვანელობის მიერ, „კავგიპროტრანსთან“ ერთად, შერჩეული იყო ვარიანტი, რომელიც ყოფილი სამხრეთ ოსეთის ოლქის ტერიტორიაზე არ გადიოდა. ჩრდილო კავკასიიდან შემომავალი რკინიგზა, 12 კილომეტრიან გვირაბის გავლით, არსებულ მაგისტრალს ქსნის სადგურთან უერთდებოდა. ეს სამუშაო დაწყებულ იქნა გასული საუკუნის 80-ან წლებში. სოფელ **ქანდასთან** დღესაც დგას გზაგამტარი, რომლითაც რკინიგზა არსებულ ჩქაროსნულ ავტომაგისტრალის თავზე უნდა გადასულიყო. დაახლოებით იქიდან იწყებოდა თბილისის შემოსავლელი რკინიგზაც, რომელიც ნავთლუღის მახარისხებელ სადგურთან უერთდებოდა არსებულ მაგისტრალს. ამ პროექტის ფარგლებში არავის აზრადაც არ მოსვლია, რომ შემოვლითი რკინიგზის აშენების შემდეგ თბილისის ფარგლებში არსებული რკინიგზა, აყრილიყო. შემოვლით რკინიგზაზე მხოლოდ სატვირთო მატარებლებს უნდა ემოძრავა, სამგზავროები კი არსებული რკინიგზით იმოძრავებდნენ.

— რა ზიანი შეიძლება მოუტანოს დედაქალაქს ლიანდაგების აყრამ?

— თბილისში არსებული ლიანდაგების გაუქმება არათუ დიდი შეცდომაა, არამედ უდიდესი დანაშაულია არა მარტო თბილისელების, არამედ მთელი საქართველოს მოსახლეობის მიმართ! **ამ შემთხვევაში უქმდება თბილისის საელმავალო და სავაგონო დეპოები, სავაგონო უბანი, რომელიც სამგზავრო მატარებლების ტექნიკურ დათვალიერებას და მის ეკიპირებას ემსახურება. გაუქმდება, აგრეთვე, სალიანდაგო და ელექტროფიკაციის უბნები, მეტროპოლიტენის დეპო, თბილისის სატვირთო სადგური, რომელიც, ძირითადად, საკონტეინერო გადაზიდვებს ემსახურება. ყველა ეს წარმოება ეკოლოგიურად სუფთაა და მათში რამდენიმე ათასი რკინიგზელი მუშაობს. სად აპირებენ ამ წარმოებების გადატანას? თბილისის ზღვის მიმდებარედ? ამ დანაშაულებრივი საქმის ინიციატორები ვერ დაასახელებან ყველაზე განვითარებული ქვეყნების ვერცერთ დიდ თუ პატარა ქალაქს, მათ შორის, დედაქალაქებსაც, რკინიგზა რომ არ გადიოდეს.** მაშინ, როდესაც თბილისის მერია რუსთაველის გამზირზე ტრამვაის აღდგენას ფიქრობს, იქნებ ახსნან, რით განსხვავდება ტრამვაი საგარეუბნო ელექტრომატარებლისგან?

— მართლაც, რითი განსხვავდება?

— მხოლოდ საკონტაქტო ქსელში არსებული ძაბვით! ფაქტიურად, არაფრით. მაგალითად, გერმანიაში ცნობილ კურორტ **ბადენ-ბადენის** მიმდებარე რკინიგზის სადგურიდან ქალაქ **შტუტგარტისკენ** მიმავალი ელექტრომატარებელი შტუტგარტში ტრამვაის ლიანდაგებზე გადადის და ქალაქის ფარგლებში აგრძელებს მოძრაობას; ასე არის არა მხოლოდ შტუტგარტში.

უკანასკნელი 18 წლის განმავლობაში ყოველწლიურად მიხდება შვეიცარიაში მგზავრობა, სადაც ჩემი ქალიშვილი ცხოვრობს ოჯახთან ერთად. თითქმის ყველა დიდი და პატარა ქალაქი მაქვს მოვლილი და არცერთი ქალაქი რკინიგზის გარეშე არ არის დარჩენილი. თითქმის ყველა ცნობილ ქალაქის ცენტრში განლაგებულია დახურული სადგურის შენობები, სულ ცოტა, 8–12 ლიანდაგით. თბილისში კი ცენტრალური სადგური ბაზრად არის ქცეული!

— უნდა აშენდეს თბილისის შემომვლელი რკინიგზა?

— მომავალში აუცილებლად უნდა აშენდეს სატვირთო მატარებლების გასატარებლად, ხოლო თბილისის ფარგლებში არსებული რკინიგზა აუცილებლად დასატოვებელია სამგზავრო და საგარეუბნო მატარებლებისთვის. **ლიანდაგის აყრის ინიციატორებს სრულიადაც არ აწუხებდა თბილისელების დისკომფორტი, თუ ცენტრალური სადგური გაუქმდებოდა. მათ თავისი გაუგონარი მომხვეჭელობის ჟინი არ ასვენებდათ, თვალი დაადგეს ქალაქში მათი სურვილით გამონთავისუფლებულ ტერიტორიას და, ალბათ, ის გაინაწილეს კიდეც, ჯერ კიდევ, წინა დანაშაულებრივი ხელისუფლების დროს. დარწმუნებული ვარ, ეს ტერიტორიაც გადაიქცეოდა რკინა-ბეტონის შენობების ისეთივე „ჯუნგლებად“, როგორც გადააქციეს თბილისის არაერთი რაიონი, რომელშიც თბილისელებს სუნთქვის საშუალებაც შეუზღუდეს. ყველა თბილისელის ვალია, წინაღუდგეს მუცელს გადაყოლილ არაკაცების პარპაშს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენს მომავალ თაობებს ისეთ თავსატეხებს დავუტოვებთ, რომლის გადაჭრის საშუალება მათ აღარ ექნებათ.**



ორიოდ სიტყვას ვიტყვი ქალაქში მანქანების მოზღვავების და ე.წ. საცობების შესახებ. არავითარი დამატებითი გზები, ხიდები და სხვა ინფრასტრუქტურული პროექტები ამ საქმეს ვერ უშველის. იმის გამო, რომ რეგიონებში ადამიანები უმუშევრები დარჩნენ, ყველამ თბილისს მიაშურა. საჭიროა რეგიონებში შეიქმნას დასაქმების პირობები და ხალხი დაუბრუნდება თავის ქალაქებს და სოფლებს. საცობების პრობლემა მარტო თბილისშია, სხვა ქალაქებში ეს პრობლემა, ფაქტიურად, არ არსებობს. ხშირად მომისმენია ყოვლად დაუსაბუთებელი მსჯელობა, რომ თბილისში სარკინიგზო ლიანდაგების აყრით, მოეღება ბოლო თბილისის ორად გაყოფასო. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს, ბოდიში, ბრიყვული მსჯელობა იმაზე, რომ, თურმე, თბილისში გამავალი რკინიგზის ტრასაზე გაივლის კიდევ ერთი სამანქანო მაგისტრალი და ქალაქი გარკვეულ შვებას იგრძნობსო... ამ ე.წ. ექსპერტებმა არ იციან, რომ ორლიანდაგიანი რკინიგზის ხაზის სიგანე, მაქსიმუმ, 10 (ათი) მეტრია. საინტერესოა, რა ავტომაგისტრალის აშენებას აპირებენ ასეთ ვიწრო პროფილზე?!

ამის გარდა, ქალაქში რკინიგზა ყველაზე რაციონალურად არის განლაგებული და მისი გამოყენება სხვა დანიშნულებით არ არის მიზანშეწონილი. თვითონ სამგზავრო ვაგზლის შენობა მართლაც ქალაქის ცენტრშია, მაგრამ არა ადმინისტრაციულ და კულტურულ ცენტრში, არამედ, დაახლოებით, აღმოსავლეთ და დასავლეთ გარეუბნების ცენტრში, რაც ყველაზე მოსახერხებელია თბილისში თითქმის ყველა რაიონში მცხოვრებთათვის. **როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ მილიონიან ქალაქს არ ჰქონდეს სარკინიგზო ვაგზლის შენობა?**

მომავალში აუცილებლად აღდგება მატარებლების მოძრაობა

კიევის, როსტოვის, მოსკოვის, სოჭის, სოხუმის მიმართულებებით. სად უნდა მომზადდეს მატარებელი ტექნიკურად? დღეს ეს ხდება თბილისის სამგზავროს ტერიტორიაზე განლაგებულ სავაგონო უბანზე. ლიანდაგების აყრის შემდეგ ხომ უფუნქციოდ რჩება ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა ათასკაციანი პერსონალით; ასევე, ექმნება პრობლემა ელმავალმშენებელ ქარხანას. როდესაც ამოქმედდება თბილისი-ყარსის უბანი, საიდან უნდა გავიდნენ სამგზავრო მატარებლები?

უდავოდ, მოსაწონია ჩვენი ახლანდელი მთავრობის სივრცითი განვითარების პროგრამა. ამ მხრივ საქართველოსთვის ყველაზე მისაბაძია შვეიცარია. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარია ტერიტორიალურად უფრო პატარაა საქართველოზე, ხოლო მოსახლეობის რაოდენობით ჩვენზე სამჯერ მეტია, მთელი მისი ტერიტორია რაციონალურად არის გამოყენებული. ამ ქვეყანაში არ არის არცერთი მილიონიანი, თუნდაც, 500 ათასიანი ქალაქი. სულ ხუთი ქალაქია, სადაც სამას ათასამდე მაცხოვრებელია. ჩვენთან კი, მილიონ სამას ათასიანი თავკომბალაა თბილისის სახით და ყველა დანარჩენი ქალაქის მცხოვრებნი 200 ათასზე ნაკლებია. ჩვენც შვეიცარიის მაგალითზე უნდა დავგეგმოთ ქვეყნის მოწყობა. სამას ათასიანები უნდა გახდნენ: რუსთავი, გორი, ხაშური, ზესტაფონი, ზუგდიდი, სამტრედია, თელავი; მაშინ, თბილისსაც ეშველება. დედაქალაქი მილიონ მაცხოვრებლამდე უნდა შემცირდეს.

— ბატონო გუგული, თავად თქვენ თუ იცხოვრებდით პროვინციულ ქალაქში?

— პირადად მე მეხუთე თაობის თბილისელი გახლავართ, მაგრამ სიამოვნებით ვიცხოვრებდი შედარებით პატარა ქალაქში. თბილისში თუ არ შეიზღუდა საცხოვრებელი კორპუსების და საწარმოო ობიექტების მშენებლობა, დედაქალაქი ცხოვრებისთვის უვარგისი გახდება, თუ უკვე არ არის გამხდარი.

გიორგი კორძაძე
571 77 61 95

როგორ გამოვიცნოთ რუსეთის აგენტი?

ოცდაათ წელზე მეტია, რუსული აგენტურის თემა ფრიად აქტუალურია ქართულ საზოგადოებაში.

გახსოვთ, ალბათ, გასული საუკუნის 90-იან წლებში, დამოუკიდებლობის მიღებამდე და დამოუკიდებლობის მიღების შემდეგაც, როგორი შესაშური ენთუზიაზმით ხდებოდა ხალხმრავალ მიტინგებზე და თავყრილობებზე რუსეთის აგენტების მხილება და გამოვლენა.

მართალია, ეს პროცესი რაღაცით ჰგავდა კუდიანებზე ნადირობას და მერე ამ კუდიანების სახალხოდ და საჯაროდ ჩაქოლვას ისე, რომ ამ საწყალ კუდიანებს თავის მართლების საშუალებაც არ ეძლეოდათ, თუმცა ეს წვრილმანები რა მოსატანია იმ დიად მიზანთან შედარებით, რასაც ქვეყნის გათავისუფლება ერქვა.

ალბათ, ისიც გემახსოვრებათ, იმ პერიოდში ტერმინს რუსეთის აგენტი ნაკლებად იყენებდნენ და უფრო ტერმინი სუკის აგენტი გახლდათ მოდაში, რომელიც, ფაქტობრივად, გამარჯობა-გაგიმარჯოსავით იყო.

— სუკის აგენტი ხარ შენ! — დასჭექდა ერთი ქართველი მეორე ქართველს და ისიც მყისიერად უბრუნებდა ხურდას — შენ თავად ხარ სუკის აგენტი!

ზოგ შემთხვევაში, ორივე მართალი იყო, ზოგ შემთხვევაში, ორივე ტყუოდა, ანუ არც ერთი იყო აგენტი და არც მეორე — ორივენი ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ და ორივეს ტიპიური ქართული სენი სჭირდა — მეორე ქართველის ჩაწიხვლისა და გაცამტვერების მანიაკალური სურვილი.

ასე იყო თუ ისე, სუკის აგენტები კონა შაურად ეყარა ქართული პოლიტიკური ბაზრის დახლებზე.

გამოხდა მცირე ხანი და გასაოცარი ამბები მოხდა — ის ადამიანები, რომლებიც რუსეთის აგენტურის გაშიფვრით იყვნენ დაკავებული და მარჯვნივ და მარცხნივ პანტაპუნტით არიგებდნენ რუსეთის აგენტობის „დამადასტურებელ“ იარლიყებს, მათ მიერვე მტრად და ოკუპანტად წოდებულმა რუსეთმა დიდი სიამოვნებით მიიღო და შეიფარა.

ამ ადამიანებში ისეთებიც საკმაოდ მრავლად იყვნენ, რომლებიც იარაღით ხელში ებრძოდნენ რუსეთს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, რუსეთმა უყოყმანოდ, ყოველგვარი დაბრკოლების გარეშე მისცა თავშესაფარი ამ ადამიანებს თავის ქვეყანაში და იქ საფუძვლიანად დამკვიდრებისთვის ყველანაირი პირობები შეუქმნა.

აი, მაშინ გაჩნდა პირველად ეჭვი, რომ რაღაც ისე ვერ იყო საქმე, როგორც ადრე გვეგონა და ნაწილი იმ ადამიანებისა, რომლებიც სხვებს აბრალებდნენ რუსეთის აგენტობას, სინამდვილეში თვითონ იყვნენ რუსეთის სპეცსამსახურებთან შეკრულები და მათ დავალებებს ასრულებდნენ.

... შევარდნაძის „მეფობის“ პერიოდში რუსეთის „შპიონებზე“ ნადირობა ცოტათი შენელდა, მაგრამ ხელისუფლებაში სააკაშვილისა და მისი გუნდის მოსვლის შემდეგ ახალი ძალით იფეთქა და სერიოზული მასშტაბები მიიღო.

ამ „აგენტების“ უმრავლესობას ცოდვათა შორის ყველაზე უმძიმეს ცოდვას, სამშობლოს ღალატს, აბრალებდნენ და, შესაბამისად, უმკაცრესად სჯიდნენ.

რუსეთის აგენტად ინათლებოდა ყველა, ვინც სკეპტიკურად უყურებდა საქართველოს ნატოში თუ ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომმა, რომლის შედეგად საქართველომ თავისი ტერიტორიების 20% დაკარგა, გააჩინა ეჭვი, თავად ბატონი სააკაშვილი ხომ არ ბრძანდებოდა რუსეთის აგენტი, რომელიც შეგნებულად და მიზანმიმართულად აჰყვა რუსეთის პროვოკაციებს და ჩაება ომში, რომელიც თავიდანვე განწირული იყო დამარცხებისთვის.

ამ ეჭვს კიდევ უფრო აძლიერებს სააკაშვილის ის უცნაური ქმედებები, რომლებსაც ის 2008 წლის აგვისტოს ომამდე ნაბიჯ-ნაბიჯ ახორციელებდა და რომლებიც, ფაქტობრივად, იურიდიულ-სამართლებრივ საფუძვლებს ქმნიდა იმ შედეგებისთვის, რომლებიც 2008 წლის აგვისტოს შემდეგ უნდა დამდგარიყო.

საქართველოს პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა კოდორის ხეობას ოფიციალურად შეუცვალა სახელი და ზემო აფხაზეთი დაარქვა, ხოლო ზვიად გამსახურდიას დროს გაუქმებული ე.წ. სამხრეთ ოსეთი კვლავ აღადგინა თავის ადმინისტრაციულ საზღვრებში და იქ არჩევნები ჩაატარა.

ყოველივე ამის შემდეგ სულაც არ გვეჩვენება უსაფუძვლოდ მავანთა და მავანთა მოსაზრება, რომ რუსეთის დაუძინებელი „მტერი“ სააკაშვილი, სწორედ რომ რუსეთის საქმეებს აკეთებდა და მასთან შეთანხმებულად მოქმედებდა.

თუ ეს ასეა, სულაც არ არის გამორიცხული, ყველასგან ხელნაკრავი სააკაშვილი სწორედ რუსეთმა შეიკედლოს და თენგიზ კიტოვანის რესტორნის გვერდით მასაც აუშენოს ერთი კოხტა რესტორანი.

სააკაშვილის მიერ დაწყებული რიტორიკა წარმატებით გრძელდება დღემდე და „ნაცმოძრაობის“, მისი განაყოფების — „ევროპული საქართველოს“, „გირჩისა“ და სხვა პოლიტიკური ორგანიზაციების წევრებს კვლავ რუსეთის აგენტი აკერიათ პირზე და ხან ვის მიატყეპებენ ამ იარლიყს და ხან — ვის.

არადა, როგორც ამ წერილში ვთქვით, აგენტი შეიძლება ზუსტად ის იყოს, ვინც სხვას უწოდებს აგენტს.

მომავალშიც რომ არ დავიბნეთ და კვლავ შეცდომები არ დავუშვათ, გთავაზობთ რუსეთის აგენტის ამოსაცნობ ერთგვარ ტესტს.

რუსეთის აგენტია (თანაც ასპროცენტიანი) ადამიანი, რომელიც კატეგორიულად მოითხოვს, საქართველო პირისპირ არ დაელაპარაკოს რუსეთს.

რუსეთის აგენტია ადამიანი, რომელიც გამუდმებით ლანძღავს რუსეთს და მასთან თანამშრომლობის ყოველგვარ შესაძლებლობას გამორიცხავს.

რუსეთის აგენტია ადამიანი, რომელიც სისტემატურად აკეთებს პროვოკაციულ განცხადებებს რუსეთის წინააღმდეგ.

რუსეთის აგენტია ადამიანი, რომელიც ქართული სახელმწიფოს ინტერესების დაცვის მიზნით გადგმულ ნებისმიერ ნაბიჯს რუსეთის მიერ პროვოცირებულად ნათლავს (მაგალითისთვის: ქართველთა მარში თურმე პუტინის ბრძანებით მოგვიწყვია).

რუსეთის აგენტია ადამიანი, რომელიც ყოველგვარი დასაბუთევის გარეშე მეორე ადამიანს რუსეთის აგენტს უწოდებს.

რუსეთის აგენტია ადამიანი, რომელიც გამუდმებით ლაპარაკობს რუსეთის საზღვრების გასწვრივ ნატოს ჯარების განლაგების იდეაზე, რითაც რუსეთს საბაბს აძლევს, კიდევ უფრო ღრმად შემოვიდეს საქართველოში, რომ ეს იდეა ჩანასახშივე აღკვეთოს.

რუსეთის აგენტია ადამიანი, რომელიც ამტკიცებს, რომ რუსებს, თავიანთ დაჟანგულ ტანკებთან ერთად, ტამბოვამდე ჩარეკავს.

კიდევ ბევრი ნიშანი არსებობს, რომლითაც ადვილად შეიძლება ამოიცნოთ, ვინ იმალება თავგადაკლული პროდასავლელის თუ პატრიოტის ნიღბის ქვეშ, მაგრამ ახლა ეს ვიკმაროთ, დანარჩენ ამოსაცნობ ნიშნებს გზადაგზა მოგაწვდით...

გიორგი გამეზარდაშვილი

ძლიერი რეგიონები

წყალტუბო

წყალტუბოში დევნილებისთვის 8 ათსართულიანი კორპუსი შენდება

წყალტუბოში დევნილთა ოჯახებისთვის დაწყებულია ორი კორპუსის მშენებლობა, რომელთა დამთავრება გაისად გაზაფხულზე იგეგმება. სამუშაოების მიმდინარეობის გასაცნობად მშენებლობაზე იმყოფებოდნენ: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი სოზარ სუბარი მოადგილესთან ერთად, იმერეთის მხარის გუბერნატორი გივი ჭიჭინაძე, ვიცე-გუბერნატორი პაატა ნადირაძე და გუბერნატორის მოადგილემოსებ ხახალეიშვილი, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გამგებელი კონსტანტინე მამისეიშვილი.

სამინისტროს წარმომადგენლები მშენებლობაზე დასაქმებულ ადგილობრივ დევნილებსაც გეესაუბრნენ. მალევე დაიწყება დანარჩენი კორპუსების მშენებლობაც.

შეგახსნებთ, რომ წყალტუბოში, დევნილთა და განსახლების სამინისტრომ დევნილთათვის კორპუსების მშენებლობა შარშან წლის ბოლოს დაიწყო. თამარ მეფის ქუჩაზე 8 ათსართულიანი კორპუსი აშენდება. ახალაშენებულ კორპუსებში საცხოვრებელ ფართს 560 დევნილი ოჯახი მიიღებს.

ბაღდათი – სიმინდის ყანების გადასარჩენად

ბაღდათის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური იმყოფებოდა სოფელ რობის ტერიტორიაზე ე.წ. ჭალის ფართობში, სადაც დაფიქსირდა მავნებლის — სიმინდის ღეროს ფარვანას არსებობა.

სამსახური შეხვდა ვარციხის, რობის, წითელხევის და დიმის ტერიტორიული ორგანოს ფერმერებსა და გამგებლის წარმომადგენლებს, დაათვალიერა სიმინდის ნათესი ფართობები. მავნებელი უკვე მასობრივად არის გავრცელებული. მოსახლეობას მიეწოდა ინფორმაცია, გაუწიეს შესაბამისი კონსულტაციები.

გრძელდება სიმინდის ყანების დათვალიერება სხვა სოფლებშიც.

ხარაგაული – ბუნებრივი აირი სოფლების მოსახლეობას

კიკნაველიძეების ოჯახში გაზი სიმბოლურად იმერეთში სახელმწიფო რწმუნებულმა-გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ნიკოლოზ თოფურიძემ და „სოკარ ჯორჯია გაზის“ იმერეთის ორგანიზაციის დირექტორმა დავით ჯაიანმა აანთეს.

სოფელ ისლარში გაზსადენის მშენებლობა 2017 წელს დაიწყო (60 აბონენტისთვის). ამჯერად ბუნებრივი აირის მიწოდების სამუშაოები სოფელ ჯაფაროულსა და ბაზალეთში მიმდინარეობს.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში ბოლო ორი წლის განმავლობაში გაზიფიცირებულია 6 სოფელი (დაახლოებით 800 აბონენტი). დავით ჯაიანის ინფორმაციით, ბუნებრივი აირის ინდივიდუალური დაერთებები ეტაპობრივად გაგრძელდება და წლის ბოლომდე ხარაგაულის ექვსივე სოფელში აინთება ბუნებრივი აირი.

ქედებთან დამაკავშირებელი ახალი გზა

დედოფლისწყაროს გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა დაათვალიერა დედოფლისწყარო-ქვემო ქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები — უახლოეს ხანში 6-კილომეტრიან მონაკვეთზე ახალი გზა დაიგება.

რამდენიმე თვის წინ ამ გზაზე 4 კილომეტრი მოასფალტდა. გზის სამუშაოები წლის ბოლომდე გაგრძელდება. დაგეგმილია ქედების გზის სრული რეაბილიტაცია. დედოფლისწყაროს გზების რეაბილიტაციის პროექტი მსოფლიო ბანკიდან ფინანსდება.

მოსავალი ხანძრისგან დაცულია

ალოობასთან დაკავშირებით საქართველოს ბეღელად წოდებულ შირაქში დამატებით გაიხსნა მეხანძრეთა პუნქტი, სადაც მუდმივად მორიგეობს ოთხი სახანძრო მანქანა ეკიპაჟებით. გარდა ამისა, ტრადიციულად, სოფელ

ხარაგაული

არხილოსკალოსა და დედოფლისწყაროს სახანძრო-სამაშველო სამსახურში მობილიზებულია სახანძრო მანქანები. ეს ყველაფერი მინდორში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში დროული რეაგირებისთვის კეთდება. დედოფლისწყაროელ მეხანძრეებს დახმარებას უწევენ ლაგოდეხისა და გურჯაანის ბრიგადები. შირაქში მყოფი მეხანძრეები გამგებელმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოინახულა, დაინტერესდა მათი პირობებით და მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის. მოგახსენებთ, რომ აღნიშნული ბრიგადა განთავსდა ალოობის დაწყებისთანავე. ისინი ადგილზე იქნებიან ალოობის დამთავრებამდე და ხვნა-თესვის დაწყებამდე.

შატილის თემის მოსახლეობას პროდუქტი გაუგზავნეს

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობამ შატილის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასაზღვრო პოლიციის ვერტმფრენით პირველადი მოხმარების საკვები პროდუქტი გაუგზავნა.

შატილში ჩავიდნენ მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორი ლევან ზაუტაშვილი და დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ვაჟა ჩოხელი. შატილის ჰესზე შექმნილი პრობლემების შესასწავლად და მოსაგვარებლად ადგილზე იმყოფებოდნენ კომპანია „ენერგო-პროს“ ხელმძღვანელი და სპეციალისტები.

დუშეთი

როგორც ცნობილია, მიმდინარე წლის 6–7 ივლისის სტიქიის შედეგად მნიშვნელოვნად დაზიანდა დუშეთის მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციული ერთეული, მათ შორის შატილიც. სტიქიის ზონებში დაუყოვნებლივ დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. შატილის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის გაწმენდისა და აღდგენისთვის საჭირო სამუშაოებს საავტომობილო გზების დეპარტამენტი ახორციელებს.

ძლიერი წვიმის შედეგად რთული მდგომარეობა შეიქმნა ჭართლის ადმინისტრაციულ ერთეულში. თითქმის ყველა სოფელში განადგურდა მისასვლელი გზები, დაზიანდა ნაპირსამაგრები. შექმნილი პრობლემის მოსაგვარებლად ამჟამად აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს სოფ. სონდასა და მუგუდაში. სამუშაოები გაგრძელდება ჯუღისი-ვაშლობის მიმართულებითაც.

ახალი საავტომობილო ხიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებს, ჭკადუაშსა და კორცხელს მიმდინარე წელს ახალი ხიდი დააკავშირებს. სამუშაოები 2017 წლის მაისის თვეში დაიწყო და ამავე წლის აგვისტოში დასრულდება. სამუშაოებზე დასაქმებულია 11 ადამიანი.

2013 წლიდან დღემდე ზუგდიდის მუნიციპალიტეტში 27 ახალი საავტომობილო ხიდი აშენდა და რეაბილიტაცია ჩაუტარდა 63 ხიდს ტიდან 11798 ლარით ფინანსდება.

აბაშის ცენტრალური სტადიონის კეთილმოწყობა

ქ. აბაშაში ცენტრალურ სტადიონზე, სათამაშო მოედნის გასწვრივ ეწყობა წყალსაწრეტი არხი და მიმდინარეობს ცენტრალური სტადიონის შენობის გადახურვა. სამუშაოებს ადგილზე გაეცნენ აბაშის მუნიციპალიტეტის გამგებელი მამუკა კვიტაშვილი და შესაბამისი სამსახურების თანამშრომლები. სამუშაოები ადგილობრივი ბიუჯეტიდან 11798 ლარით ფინანსდება.

მარტვილი – ბალდის საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა

მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ გაჭედილის ბალდის უბანში საბავშვო ბაღის ეზოში მიმდინარეობს კეთილმოწყობის სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში გამაგრდება ბეტონის საძირკველი, ეზო შემოკავდება და შეიცვლება შესასვლელი კარი.

პროექტის ღირებულება 13 097 ლარია და მას ადგილობრივი მუნიციპალიტეტი აფინანსებს. ამ ეტაპზე დასაქმებულია 10 ადგილობრივი.

შშმ პირებისთვის ადაპტირებული ახალი საბავშვო ბაღი სენაკში

სენაკში, ფოთის ქუჩაზე შენდება 80 აღსაზრდელზე გათვლილი ორსართული საბავშვო ბაღი. თანამედროვე სტანდარტების შესაბა-

ძლიერი საქართველოსთვის

სენაკი

მისად დამონტაჟდება კონდიცირების, ვენტილაციის, წყალმომარაგების, ელექტროგაყვანილობისა და კანალიზაციის სისტემები.

მშენებლობა მიმდინარე წლის მაისში დაიწყო და ამავე წლის დეკემბერში დასრულდება. პროექტის ღირებულებაა 279 521 ლარი. სამუშაოებზე დასაქმებულია 20 ადგილობრივი.

ჩხოროწყუ — ლურჯი მოცვის გასამრავლებლად!

საქართველოში ევროკავშირის სოფლის მეურნეობის, სოფლის განვითარების პროგრამისა (ENPARD) და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის — „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების მხარდაჭერა საქართველოში“ — ფარგლებში, ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის სოფელ ლესიჭინეში სადემონსტრაციო დღე მოაწყო. აღნიშნული პროგრამა საქართველოში 2013 წლიდან ხორციელდება და იგი სოფლად სიღარიბის დაძლევას ისახავს მიზნად.

წალენჯიხა — წყალგაყვანილობის სისტემების სრული რეაბილიტაცია

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ჯგალის, საჩინოს, ლიას და ქ. წალენჯიხის სამიქაოს უბანში წყალსადენების ქსელების მოწყობის სამუშაოები დაიწყო.

ამ ეტაპზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობს ლიას ადმინისტრაციულ ერთეულში. სამუშაოები 153 900 ლარით რეგიონალური პროექტების ფონდმა დააფინანსა.

მიმდინარე სამუშაოები, რომლებზეც 20-მდე ადგილობრივი მუშახელია დასაქმებული, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ბესიკ ფარცვანიამ ლიას ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელ ვახტანგ კვირკველიასთან ერთად დაათვალიერა.

2013 წლიდან დღემდე წალენჯიხის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციის შედეგად უზრუნველყოფილია 1750 ოჯახი.

ნინოწმინდა — ღორჯომობის საზეიმო ღონისძიება სოფელ სპასოვკაში

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის სოფელ სპასოვკაში, მუნიციპალიტეტის გამგეობისა და არასამთავრობო ორგანიზაცია „დემოკრატიის ინსტიტუტის“ ხელმძღვანელობითა და ინიციატივით, ადგილობრივი მოსახლეობისა და უამრავი სტუმრების — ხულოს, ქედისა და წალკის მუნიციპალიტეტების წარმომადგენელთა მონაწილეობით პირველად აღინიშნა„ ღორჯომობა“.

რუსთავის საბავშვო ბაღების ენერგოეფექტიანი რეაბილიტაცია

ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და რუსთავის მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით, №6, №40, №41 საბავშვო ბაღებს ენერგოეფექტიანი რეაბილიტაცია ჩაუტარდა.

პროექტი „ქალაქ რუსთავში სამი საბავშვო ბაღის (№6, №40, №41) რეკონსტრუქცია ენერგოეფექტიანობის მაღალი სტანდარტის მიღებისა და ნახშირორჟანგის ემისიების შემცირების მიზნით“, მერების შეთანხმების „სადემონსტრაციო პროექტების“ (CoMDeP) პროგრამის ფარგლებში, მდგრადი განვითარებისა და პოლიტიკის (SDAP) ცენტრმა განახორციელა.

ბოლნისს კიდევ ერთი ქვაფენილით მოკირწყლული ქუჩა შეემატება

საკაძის ქუჩაზე ამ ეტაპზე იხსნება ძველი საფარი, რის შემდეგაც 600 გრძივ მეტრზე დაიწყება ქვაფენილის დაგება, მოეწყობა ტროტუარები და სანიაღვრე ცხაურები. დასაქმდება 30-მდე ადგილობრივი.

სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

დმანისი — C ჰეპატიტის უფასო სკრინინგ-ტესტირება

სოფელ მაშავერის მოსახლეობას C ჰეპატიტის უფასო სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა. მობილურ ლაბორატორიაში ნებისმიერ მოქალაქეს ჰქონდა საშუალება, ჩაეტარებინა C ჰეპატიტის უფასო სკრინინგი.

აქცია განხორციელდა „C“ ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის“ ფარგლებში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ, დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურისა და ადგილობრივი საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის ხელშეწყობით.

სკრინინგ-ტესტირება ჩაუტარდა 108 მოქალაქეს.

თეთრიწყარო — სოფელ დიდ თონეთში, წვერსა და დიდგორში

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა ერეკლე კუხიანიძემ და ინფრასტრუქტურის განვითარების არქიტექტურისა და მშენებლობის სამსახურის უფროსმა გოჩა ქალდანმა სოფელ დიდ თონეთში სასმელი წყლის სარეაბილიტაციო და სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები დაათვალიერეს.

გურჯაანი

ხელმძღვანელი პირები იმყოფებოდნენ აგრეთვე სოფელ წვერში და სოფელ დიდგორში — მისასვლელ გზებზე განხორციელებული სამუშაოების მიმდინარეობის გასაცნობად. აღნიშნული გზის მონაკვეთები ამორტიზირებული იყო ხრეშოვანი საფარის ძლიერი დაზიანების გამო და ფერხდებოდა ავტოტრანსპორტის მოძრაობა. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების დეპარტამენტის უშუალო მონაწილეობით რეაბილიტაციის შემდეგ აღნიშნულ გზაზე შესაძლებელია ნებისმიერი ავტოტრანსპორტით მოძრაობა.

სოფელ დიდ თონეთში კი სასმელი წყლის სარეაბილიტაციო და სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები მიმდინარეობს.

გოგებაშვილის ქუჩაზე ასფალტის საფარი იგება

ქალაქ გურჯაანში გოგებაშვილის ქუჩაზე გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. მოასფალტდება 755 მეტრი სიგრძის გზა. სამუშაოებს შპს „ლაგოდეხავტოგზა“ ასრულებს და ის მიმდინარე წლის 12 სექტემბრამდე დასრულდება.

გორის მუნიციპალიტეტში

შპს „საქართველოს მელიორაციის“ გენერალური დირექტორი არჩილ ბუკია შიდა ქართლის გუბერნატორ კახა სამხარაძესთან ერთად, გორის მუნიციპალიტეტში სოფელი დიცის, არბოსა და ქორდის მოსახლეობას შეხვდა და საირიგაციო მომსახურების გაუმჯობესების საკითხები განიხილა.

იმისათვის, რომ აღნიშნულ სოფლებში სარწყავი წყლის მიწოდების პროცესი დარეგულირდეს და მოსახლეობას შეუფერხებლად მიეწოდოს წყალი, არბო-დიცის სატუმბი სადგური 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს. ჩაირთვება 3 ტუმბო. ამასთანავე, აუცილებელია ადგილობრივმა მოსახლეობამ დაიცვას წყალმოხმარების გრაფიკი, რათა წყალი თანაბრად განაწილდეს სამივე სოფლის ფართობებზე.

სოფელი დიცის სავარგულები ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოქცეული კეხვი-ვანათის სარწყავი სისტემით ირწყვებოდა. დღეისთვის სოფელს სარწყავი წყალი მიეწოდება მექანიკური წესით მდინარე პატარა ლიახვზე აშენებული არბო-დიცის სატუმბი სადგურის მეშვეობით, რომლის სიმძლავრის გაზრდის მიზნით 2017 წელს დამატებითი სატუმბი აგრეგატი დამონტაჟდა.

ჩხოროწყუ

მსოფლიო ცივილიზაცია უძველესი კოლხური ცივილიზაციისგან იშვა?

(გაგრძელება, დასაწყისი იხ. „სგ“ N1 2017

როგორ დაიწყო ეს ყველაფერი — 1965 წელს მოსკოვმა დაიწყო გეოლოგიური დაზვერვითი სამუშაოები საქართველოში, კონკრეტულად, ხარაგაულის მიდამოებში აწარმოებდნენ დაბურღვით სამუშაოებს და მოხდა უცნაური რამ, ბურღვის დროს ბურღი ქვემოთ, სადღაც სიცარიელეში ჩავარდა. ჩაუშვეს სპეციალური აპარატი და იქ წყალი აღმოჩნდა. ბურღი სხვა ადგილზე გადაიტანეს და იქაც იგივე განმეორდა, ყველგან წყალი და სიცარიელე აღმოჩნდა. ეს ამბავი როდესაც ახლო-მახლო სოფლებშიც გახმაურდა, ადგილობრივმა მცხოვრებლებმა მეცნიერებს ანახეს გამოქვაბულები საიდანაც ხვრელები ჩადიოდა მიწისქვეშ. რამდენიმე მკვლევარი შესაძლო დონემდე ჩავიდა სიღრმეში და სენსაციური ამბავი ამოიტანეს, რომ მიწისქვეშ აშკარად შეიმჩნეოდა ხელოვნური ზემოქმედების კვალი. როგორც ისინი ამბობდნენ, მიწისქვეშეთში იყო გიგანტური მეგალითური ბლოკებით ამოყვანილი შახტები რომლებიც სიღრმეში მიემართებოდა. სასწრაფოდ დაკონსერვდა სამუშაოები და იქაურობა აკრძალულ ზონად გამოაცხადეს. რამდენიმე წლის შემდეგ ისევ გამოჩდნენ მოსკოველი მკვლევარები, რომლებმაც ჩაატარეს კვლევები და დაადგინეს, რომ საქართველოს ქვეშ ნამდვილად არის გიგანტური სიცარიელე რომელიც წყლით არის ამოვსებული და ყველა ჩასასვლელი დალუქულია. იმ დროის მონაცემებს დაემატა და აღმოჩნდა, რომ სადღაც მიწისქვეშეთში ჩასასვლელები არის რამდენიმე ადგილას. ესენია: ეშერა, მარტვილის მიმდებარე კლდეებიდან, ხომლის მთიდან, ხარაგაულის ნაკრძალიდან, რაჭის სოფელ ღებიდან. აგრეთვე იალბუზის მთიდან, სადაც არის ხეობა ბაქსანი..

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ უამრავი საიდუმლო მასალა გაიყიდა საზღვარგარეთ. როგორც ჩანს, მედიაშიც მოხვდა გარკვეული მასალა და სწორედ მას შემდეგ დაგეგმა „დისქავერმა“ გადაღება საქართველოში არსებულ საიდუმლო ადგილებზე. როგორც კულუარულად გავრცელდა ინფორმაცია, გადამღები ჯგუფის უფროსმა რაღაც უცნაურობა აღმოაჩინა მთებში, თუმცა რა, არ გაახმაურა და რაც გადაიღეს, ჯერჯერობით არც ის არის საჯაროზე გამოსული.

ბორჯომის ხეობის მთებში, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის გავლით, მაღლა, ალპურ ზონაში, 2006 წელს არქეოლოგები სენსაციური აღმოჩენის წინაშე დადგნენ, აღმოაჩინეს 2,5–3 მეტრი სიმაღლის ადამიანი-გიგანტების ძვლები, რომელთა ასაკი 25000 წელია და იქვე ნატაძრალიც იყო.

ოთარ ბაღათურია, პროფესორი, ჯგუფის ხელმძღვანელი: — „დასადგენია, გიგანტური ძვლები ვისია, გიგანტოპითეკის (ადამიანის მსგავსი მაიმუნი, ოღონდ, უფრო მაიმუნისკენ რომ იხრება), მეგანთროპის (ადამიანსა და მაიმუნს შორის მყოფი) თუ ჰომოგიგანტიკუსის (გიგანტური ადამიანი). თუ დამტკიცდა, რომ ის ადამიანის ერთ-ერთი წინაპარია, შემდეგ უნდა დადგინდეს, ქართველია თუ არა. საერთოდაც, მაინტრესებს, ბაღათურია ხომ არ არის, რადგანაც „ბაღათური“ ბევრ ენაში (ქართული, ინდური, ოსური, ირანული, მონღონული, სლავური ენები) „გოლიათს“ ნიშნავს — „ბაღათარი“, „ბაადური“, „ბაჰადური“, „ბაგატირ“... იმის შანსი, რომ თუნდაც პაწაწუნა ნაწილი აღმოჩნდეს, რათა დნმ ანალიზი გაკეთდეს, მიზერულია, თუმცა, ვნახოთ...“

აბრსკილის მღვიმე

(სხვათაშორის, შურდული ბაგრატიონების გერბში ერთ-ერთ ელემენტს წარმოადგენს, რადგან ამ გვარის ერთ-ერთ წინაპარს, დავითს, შურდულით მოუკლავს გოლიათი. შურდული, ეს არის ქვის სასროლი იარაღი, რომელიც გავრცელებული იყო მსოფლიოს ბევრ ხალხში. შურდული იყო საბრძოლო, სანადირო, სამწყემსო და სათამაშო. საშურდულე ქვებისთვის ქართველ მეომარს საგანგებო აბგა-ჯიბეები ანუ ტავარჯუხი ჰქონდა.

თავად თავდგირიძეების გერბშიც შურდულია გამოსახული მალტურ ჯვართან, ქნარ და ღუზასთან ერთად. გერბში შესული ბაგრატოვანთა დინასტიური ემბლემები (ქნარი, შურდული) თავდგირიძეების ბაგრატიონებთან ნათესაობის შესახებ გავრცელებული მოსაზრების გამომხატველია. თავდგირიძეების გერბი ჩვენთბის ვ. ციხინსკის „კავკასიის საგერბედან“ არის ცნობილი. თუმანოვის მტკიცებით, ტავდგირიძეებს სამეფო გვირგვინის დამდგმელის თანამდებობა ეკავათ. შესაძლოა, სწორედ ამ ვარაუდზე მიუთიტებდეს ფარს დადგმული გვირგვინი, რომელიც ვიზუალურად გრუზინსკების „უმაღლესად დამტკიცებული“ გერბის შემადგენელ ერთ-ერთ დეტალს, ქერუბიმების ხელთ მყოფ გვირგვინს წაგავს.

ბაგრატიონების გერბზე შურდული

თავდგირიძეების გერბი

შურდულით გასროლილი ქვა დიდ მანძილზე მიექანებოდა და გასროლის სიძლიერითაც გამოირჩეოდა. შურდული იყო ტყავის ღვედი ან თასმა, რომელსაც შუაში ჰქონდა ჩაღრმავება. მსროლელი მასში დებდა მრგვალ, გლუვ ქვას, რომელიც დაახლოებით 250 გრამს იწონიდა, დიამეტრიც 5–7,5 სმ იყო, თავსზემოთ რამდენჯერმე დაატრიალებდა და სწრაფად უშვებდა ხელს. გამოცდილი მეშურდულეს მიერ გატყორცნილი ქვა შესაძლოა, საათში 160–240 კმ სიჩქარით გატყორცნილიყო და მიზანში მოხვედრილიყო. მეცნიერები ამ მონაცემზე ვერ თანხმდებიან, მაგრამ ფაქტია, რომ შურდულიდან გატყორცნილი ქვა მომაკვდინებელი იყო (მსაჯულები 20:16)

კადრი ფილმიდან „გიგანტის საფლავის საიდუმლო“

შუა საუკუნეების საქართველოს ლაშქარში მეშურდულეთა საგანგებო ნაწილების არსებობას მრავალი ისტორიული წყარო აღნიშნავს. მაგალითად, თამარ მეფის ისტორიკოსის ცნობაში მითითებულია „წარმოდგეს ბანთა და შუაკართა ზედა ისრის მსროლელნი და ქვის მტყორცნელნი“.

ახლო აღმოსავლეთში ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს დიდი რაოდენობით საშურდულე ქვა იქნა აღმოჩენილი...)

კიდეც რას მალავს ძველი კოლხური ცივილიზაციის ძველი კოლხეთის მიწა-წყალი, ვინ იცის და არა მხოლოდ დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე...

ასურელი მეშურდულეები რელიეფზე

გიგანტები

გოლიათების კვალი არა ერთ ქართულ ლეგენდასა და ზღაპარშია. მაგალითად, ამბრი, მითიური გმირი, რომელსაც ქართული მეცნიერება მიწათმოქმედების კულტს უკავშირებს. ჯერ კიდევ ცოცხალი ამბრი დასამარხად 12 ხარ-კამეჩით მიჰყავდათ, როცა ურმიდან ფეხი ჩამოუვარდა და გუთანივით ხნავდა მიწას. ვარაუდობენ, რომ სახეშეცვლილად არის ინფორმაცია გადმოცემული და გზავნილი იმაზე მიანიშნებს, რომ იმ დროის ქართველებს მიწის დამუშავების ტექნიკა და საიდუმლო ცოდნა იმ გოლიათებისგან ისწავლეს, რომლებიც მათ გვერდით ცხოვრობდნენ და შედარებით დიდ ცოდნას ფლობდნენ.

„შესაქმესაი“ პირდაპირ ამბობს, რომ ადამ და ევას შერწყმამდე უკვე იყვნენ ვიღაცები, „თესლის მთესველები“...

ამბრი კიდევ ერთ, მსოფლიოში ცნობილი მითის პერსონაჟ „ამირანს“ (პრომეთე) გვახსენებს, რომელიც ქალღმერთ დალისა და ადამიანის შვილია, ანუ დედა სხვა გენეტიკის მატარებელია. ადამიანებთან გაზრდილი ამირანიც გოლიათია, რომელიც ებრძვის დევებს, გველეშაპებს, ღმერთებს... ლეგენდიდან ჩანს, რომ ამირანს აღელვებდა ამბრის სიძლიერე და მასთან შებრძოლება უნდოდა. ამირანის, როგორც გმირის, საბრძოლო ატრიბუტიკაში მნიშვნელოვანია ხმალი, რომელსაც ჩვეულებრივი ადამიანი ვერ სძრავდა. სხვათაშორის, სიტყვა „გმირი“, სულხან-საბას განმარტებით ნიშნავს ბუმბერაზ ადამიანს, რომელიც არაადამიანური ძალით გამოირჩევა.

სილამაზით ცნობილია აბრსკილის მღვიმე, სადაც, გადმოცემით, ვეება სტალაქტიდზე ლეგენდარული აბრსკილი იყო მიჯაჭვული — „ამირანიანის“ აფხაზური ვარიანტი. ღმერთმა იგი დასაჯა და ჭილოუს მღვიმეში ბოძს მიაჯაჭვა. ნიკო მარის აზრით, აბრსკილი „მზის შვილს“ უნდა ნიშნავდეს (აფხაზურად „ამირაბირ“ — მზე და მეგრულად „სკირ,“ „სკილ“ — შვილი); მიხეილ ჩიქოვანი „ამბრის შვილად“ თარგმნის („ამირანიანის პერსონაჟი); შ. სალაყაია „ქვის შვილად“ მიიჩნევს (აფხაზურად „აბრა“ — ქვა);

აბრსკილის მღვიმე 10-მდე მოზრდილი დარბაზისგან შედგება და მიემართება აღმოსავლეთისკენ 2 კმ-ზე მეტ სიგრძის ზოლში. მღვიმის ბოლოში არის მიწისქვეშა ტბა, რომლის მიღმა გვირაბების შემდგომი სისტემები 480 მეტრ მანძილზე გრძელდება. დარბაზებში სტალაქტიდები, სტალაგმიტები, სვეტები, ფარდები და კირქვული ნაღვენთების მრავალი სხვა ფორმაა. მღვიმეში გაედინება მდინარე აჩხიტიზგო, რომელიც ერთვის მდინარე ოტაფს (მდ. მოქვის მარჯვენა შენაკადი). საყურადღებოა მღვიმის არქეოლოგიური და პალეოზოური აღმოჩენები, მათ შორის შესასვლელიდან 360 მეტრზე ნაპოვნი მღვიმის დათვის მთლიანი ჩონჩხი და სხვა ცხოველთა ქვლები, ასევე, ადამიანების სხვადასხვა იარაღი.

„ქართული დევი“, გოლიათი არსება, იგივეა რაც სხვა დანარჩენი გოლიათები, მაგრამ საინტერესო მიგნებაა ის, რომ კაცობრიობის განვითარების განთიადზე გოლიათები იყვნენ ადამიანების „მასწავლებლები“ მთელ რიგ საკითხებში, წარღვნის შემდეგ კი, უკვე ადამიანებთან კავშირის შემდეგ გამრავლებულებმა, თითქოს გონებრივი დეგრადაცია განიცადესო. ამასთანავე, ადამიანებისთვის უარყოფითი სახეობა გახდა, მოძალადე და ბოროტი, ამავდროულად, ბრიყვიც...

ვახუშტი ბატონიშვილის მიერ შექმნილ „ქართლის ცხოვრების“ ჩანაწერებში აღწერილია ქართლის, თრიალეთის ქედთან ახლოს, ატენის ხეობაში, ახლანდელ სოფელ დიდ წერეთში დაკრძალული ჯაფირის ამბავი, რომლის საფლავის სიგრძე ხუთი ადლია. მეფისთვის არაფრით გამორჩეული „ვიღაც ჯაფირი“ მნიშვნელოვანი ვერ იქნებოდა და ასეცაა, სხვებისგან გამოირჩეოდა. ჯაფირი გოლიათი იყო რომელიც ადამიანებთან ცხოვრობდა. გადმოცემით, მის ერთ წინდაში ოცდახუთი კილო მარცვლეული ეტეოდა, ვახშმად კი ერთი ცხვარი არ ჰკმაროდა. ჯაფირს თავისნაირივე აღნაგობის ცოლი ჰყოლია, ანუ საუბარია ჩამოყალიბებული გენის არსებებზე და არა ფიზიკური ანომალიის გამო „გამაღლებულებზე“. თანასოფლელების თხოვნით ჯაფირს მონაწილეობა მიუღია სოფლის ეკლესიის მშენებლობაშიც. ეკლესიას ატყვია „ჯაფირის კვალი“ — ეკლესიის კედელში, მიწიდან დაახლოებით სამი მეტრის სიმაღლეზე, პატარა ქვების წყობის შემდეგ მოდის ლოდების წყება. როგორც წესი, ლოდები შენობის საფუძველში დევს, აქ კი, როგორც ლეგენდა გადმოგვცემს, სწორედ ჯაფირის სიმაღლეზეა შემოწყობილი. მის შესახებ დოკუმენტური ფილმიც გადაიღეს „ტაინა მოგილი ველიკანა“...

(გაგრძელება იქნება)

შოთა ქავთარაძე

ქართულმა სამწერლო ოჯახმა მტკივნეული დანაკლისი განიცადა.

გარდაიცვალა თვალსაჩინო ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე შოთა მიხეილის ძე ქავთარაძე.

ზეციური საქართველოს ბინადარი გახდა ნიჭიერებით, სიკეთით, ვაჟკაცობითა და სათნოებით გამორჩეული შემოქმედი, რომელიც მთელი თავისი სიცოცხლის განმავლობაში ერთგულად, მუხლჩაუხრელად ემსახურებოდა მშობლიურ მწერლობას, მშობელ ქვეყანას...

შოთა ქავთარაძე დაიბადა 1941 წლის 5 დეკემბერს დუშეთის რაიონის დაბა ფასანაურში. საშუალო განათლების მიღების შემდეგ 1958 წელს სწავლა განაგრძო თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უცხო ენათა პედაგოგიური ინსტიტუტის გერმანული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომელიც 1963 წელს დაასრულა. მას შემდეგ იგი მუშაობდა მესტიასა და ბარისახოს სკოლა-ინტერნატში გერმანული ენის მასწავლებლად. 1965–1966 წლებში გაწვეული იყო სავალდებულო სამხედრო სამსახურში. არმიიდან დემობილიზაციის შემდეგ კი, 1966–1971 წლებში, სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე. მას შემდეგ შოთა ქავთარაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა ცეკავშირის წიგნით ვაჭრობის სამმართველოს უფროსის მოადგილედ. მცხეთა-მთიანეთის რეგიონალური გაზეთის „ლომისის“ რედაქტორად და მუდამ მშობელი ხალხის, მშობლიური მწერლობის სასიცოცხლო ინტერესებს იცავდა.

შოთა ქავთარაძის სამწერლო ნათლობა 1961 წელს შედგა, როდესაც პირველი ლექსები გამოაქვეყნა ჟურნალ „ცისკარში“. ამ პირველმა პუბლიკაციებმა ჩვენს სალიტერატურო საზოგადოებას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი, სამშობლო ქვეყნის კიდევ ერთი გულანთებული პატრიოტი პოეტის დაბადება ამცნო. თითქმის ექვსი ათეული წლის განმავლობაში მისი ნაწარმოებები — ლექსები, მხატვრული თარგმანები, მხატვრული ნარკვევები და პუბლიცისტური სტატიები სისტემატურად ქვეყნდებოდა ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში. გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

შოთა ქავთარაძის პოეტური კრებულები, ისეთები, როგორიცაა „ორწყალი“, „მეორე დღე“, „მთვარის სოფელი“, „ზეთუკან“ შეიყვარა ქართველმა მკითხველმა. შეიყვარა თამამი, გაბედული პოეტური ძიებებისათვის, უშუალობისა და გულწრფელობისათვის, განცდათა სიმძაფრისა და სიღრმისათვის. მისი ლექსების ლირიკული გმირი იმ არაგველთა ღირსეული შთამომავალია, რომელსაც საკუთარი სისხლის ფასად შეუძლია დაიცვას საქვეყნო ინტერესები, დაიცვას როგორც ჭეშმარიტმა ერისკაცმა და მეცხოვნემ.

შოთა ქავთარაძის საუკეთესო ლექსები თარგმნილია უკრაინულ და რუსულ ენებზე.

თავადაც ჩინებულად თარგმნა ჰაინრიჰ ჰაინეს ლექსები, ჯეიმს კრუსის „თიმ ტალერი, ანუ გაყიდული სიცილი“, კლასიკური ესპანური ეპიგრამები. ამ უკანასკნელმა თარგმანმა უკვე სამ გამოცემას გაუძლო.

შოთა ქავთარაძის კალამს ეკუთვნოდა არაერთი მხატვრული ნარკვევი თუ პუბლიცისტური სტატია, აქტუალობითა და საკითხის არსში ზუსტი წვდომით რომ გამოირჩევა.

გულით გვახარებდა მასთან მეგობრობა, მასთან ურთიერთობა, ვიცოდით, რომ მისი სახით საქართველოს ერთი უბადლო, ქედუხრელი შვილი ჰყავდა, რომელსაც ვერანაირი ცდუნება ვერ აიძულებდა, უარი ეთქვა ქვეყნის უებრო მსახურების დაუოკებელ წყურვილზე. მისი უმთავრესი თვისება ცხოვრებაშიც და მწერლობაშიც გარეგნული ეფექტებისგან თავის განრიდება იყო. წერდა და ცხოვრობდა ისე, რომ, უპირველესად, საკუთარ თავთან ყოფილიყო მართალი. ეს კი მხოლოდ რჩეულთა წილხვედრი თვისებაა.

სწორედ ასეთად დაგვამახსოვრდება შოთა ქავთარაძე — პოეტი, ერისკაცი, კიდევ ერთი მსხვერპლი ჩვენი უსასტიკესი, დაუნდობელი ყოფისა.

საქართველოს მწერალთა კავშირი

შოთა ქავთარაძის ხსოვნას

გუშინ ფასანაურის მიწას მივაბარეთ შესანიშნავი პოეტი და მთარგმნელი შოთა ქავთარაძე — კეთილშობილებით, წესიერებით, სიკეთით გამორჩეული ადამიანი.

შოთა განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა ყველას, ვინც მას იცნობდა, რადგან მასაც განსაკუთრებული სიყვარულით უყვარდა ყველა...

ის სიყვარულით და სიკეთით გაცისკროვნებული კაცი იყო, ქვეყნის ნამდვილი პატრიოტი, უერთგულესი მეგობარი, რომელსაც სხვისი წარმატება საკუთარ წარმატებასავით უხაროდა.

შოთა ქავთარაძე უაღრესად ნიჭიერი პოეტი იყო, თუმცა ბუნებით თავმდაბალს და მოკრძალებულს, არასდროს უცდია თავისი შემოქმედებით საზოგადოების ყურადღება მიეპყრო.

იგი თავისი ცხოვრების წესით ჩვენ, მის უმცროს მეგობრებს, ჩუმად და უხმაუროდ გვასწავლიდა ადამიანისთვის უმთავრესს — ადამიანობას...

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი ნათელი სული...

ვახტანგ ხარჩილავა, კობა არაბული, ზაურ კალანდია, გოგი გოგოლაშვილი, თამაზ ხმალაძე, ირაკლი ვაშაყმაძე, ვაჟა ხორნაული, ზაალ ბოტკოველი, ბალათერ არაბული, ბათუ დანელია, გური ოტობაია, ბაბუა ალუდაური

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

— **მაინტერესებს ნასამართლოს მოხსნისა და გაქარწყლების საკითხი.**

თქვენთვის საინტერესო საკითხს პასუხობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 79-ე მუხლი, რომლის სინაარსსაც წარმოგიდგენთ სრულად:

მუხლი 79. ნასამართლობა

1. მსჯავრდებული ნასამართლედ ითვლება გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან ნასამართლობის გაქარწყლების ან მოხსნის მომენტამდე. ნასამართლობა მხედველობაში მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

2. სასჯელისაგან გათავისუფლებული ითვლება ნასამართლობის არმქონედ.

3. ნასამართლობა გაქარწყლდება:

ა) პირობით მსჯავრდებულისა – გამოსაცდელი ვადის გასვლის შემდეგ;

ბ) თავისუფლების აღკვეთაზე უფრო მსუბუქი სასჯელით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ერთი წლის შემდეგ;

გ)ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან სამი წლის შემდეგ;

დ) მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან ექვსი წლის შემდეგ;

ე) განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისა – სასჯელის მოხდიდან რვა წლის შემდეგ.

4. თუ მსჯავრდებული კანონით დადგენილი წესით სასჯელის მოხდისაგან ვადამდე იქნა გათავისუფლებული ან თუ მას სასჯელის მოუხდელი ნაწილი შეეცვალა უფრო მსუბუქი სახის სასჯელით, ნასამართლობის გაქარწყლების ვადა შესაბამისად გამოითვლება სასჯელის ფაქტობრივად მოხდილი ვადიდან ან უფრო მსუბუქი სახის სასჯელის (ძირითადი და დამატებითი) მოხდის მომენტიდან.

5. თუ სასჯელის მოხდის შემდეგ მსჯავრდებული უმწიკვლოდ იქცეოდა, მაშინ მისი თხოვნით სასამართლოს შეუძლია მოუხსნას მას ნასამართლობა ნასამართლობის გაქარწყლების ვადის გასვლამდე.

6. გაქარწყლებული ან მოხსნილი ნასამართლობა მხედველობაში არ მიიღება სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის, დანაშაულის კვალიფიკაციისა და სისხლის-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების საკითხის გადაწყვეტისას.

P.S. 79- მუხლის მპირობები ეხება მხოლოდ სრულწლოვან მსჯავრდებულებს. არასრულწლოვან პირთა შემთხვევაში მოქმედებს არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების კოდექსი.

* * *

— **როგორია მსჯავრდებულ მეუღლესთან განქორწინების წესი?**

– საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1125-ე მუხლის „გ“ პუნქტის მიხედვით, სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურშიერთ-ერთი მეუღლის განცხადებით განქორწინება ხდება იმ პირთან, რომელიც სასამართლოს მიერ მსჯავრდებულია დანაშაულისათვის თავისუფლების აღკვეთით არანაკლებ სამი წლისა.

ამავე კოდექსის 1139-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით, მეუღლე, რომელსაც სურს განქორწინება ხსენებული საფუძვლით, ვალდებულია სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს წარუდგინოს სათანადო წესით დამოწმებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენი ან განაჩენის ამონაწერი იმის შესახებ, რომ მეორე მეუღლეს შეფადებული აქვს თავისუფლების აღკვეთა არანაკლებ სამი წლისა.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, შეტანილი განცხადების შესახებ სააგენტოს ტერიტორიული სამსახური აუწყებს თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფ მეუღლეს. უწყებაში უნდა განისაზღვროს იმის თაობაზე პასუხის შეტყობინების ვადა, არის თუ არა დავა ბავშვების შესახებ, მეუღლეთა საერთო თანასაკუთრების გაყოფაზე ან იმ შრომისუუნარო მეუღლის სასარგებლოდ ალიმენტის გადახდევინებაზე, რომელიც დახმარებას საჭიროებს. პასუხის შეტყობინების ვადა არ უნდა აღემატებოდეს 3თვეს.

ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, თუ მიღებულია ცნობა იმის შესახებ, რომ დავა არ არსებობს, ან მითითებულ ვადაში პასუხი არ იქნა მიღებული, სააგენტოს ტერიტორიული სამსახური ახდენს განქორწინების რეგისტრაციას.

დავის არსებობის შემთქვევში განქორწინების საკითხის გადაწყვეტა სასამართლოს პრეროგატივაა.

* * *

— **განვქორწინდი მეუღლესთან სასამართლო წესით, მაგრამ განქორწინება არ დაგვირეგისტრირებია. ვითვლებით თუ არა განქორწინებულად?**

– არა.

ქორწინება შეწყვეტილად ითვლება განქორწინების რეგისტრაციის მომენტიდან.

გახსოვდეთ: განქორწინების დარეგისტრირება შესაძლებელია გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არა უგვიანეს სამი წლის განმავლობაში, რომელიმე მეუღლის ინიციატივით. თუ ეს სამი წელი ისე გავიდა, რომ არცერთმა მეუღლემ გადაწყვეტილება რეგისტრაციაში არ გაატარა, ისინი კვლავ დაქორწინებულებად ჩაითვლებიან.

* * *

— **სარჩელი მაქვს სასამართლოში შეტანილი განქორწინების შესახებ. ჩემი მეუღლე დაიღუპა უბედური შემთხვევის გამო. როგორ მოხდება სასამართლოში საქმის განხილვა?**

– სასამართლოში საქმის განხილვა აღარ მოხდება.

– საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 353- ე მუხლის მიხედვით, ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში სასამართლოში აღძრული საქმე უნდა შეწყდეს.

რჩევა: აუცილებლად წარადგინეთ სასამართლოში მეუღლის გარდაცვალების მოწმობა.

ჭრელი გვერდი

კაცობრიობა შეიძლება ბედნიერების გარეშე დარჩეს

კალიფორნიის უნივერსიტეტის სანდიეგოელმა ფსიქოლოგებმა განაცხადეს, რომ ბედნიერება სულ უფრო დაუფრო მიუწვდომელ და ეფემერულ განმარტებად რჩება და საერთოდაც, რამდენიმე თაობის წინ ადამიანები უფრო ბედნიერები იყვნენ, ვიდრე ახლა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ თანამედროვე ცხოვრებაში იმატა

ნეგატიური ფაქტორების რიცხვმა, რომლებიც უარყოფითად აისახება ადამიანების ჯანმრთელობასა და ფსიქიკურ სტაბილურობაზე. შედეგად, ადამიანები მასიურად აღარ გრძნობენ თავს ბედნიერად.

გამოკვლევებმა დაადასტურა, რომ XXI საუკუნის ადამიანების სულ უფრო ნაკლებად არიან ცხოვრებით კმაყოფილი. ამგვარი ტენდენცია, სავარაუდოდ, შენარჩუნდება და მომავალ თაობებსაც გადაეცემა.

დამტკიცებულია ყავის გავლენა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე

ამერიკელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ყავის ყოველდღიურად გამოყენება ნებისმიერი მიზეზით სიკვდილის რისკს ამცირებს. მეცნიერები 16 წლის განმავლობაში აკვირდებოდნენ სხვადასხვა წარმომავლობის 190 ათას მოხალისეს.

შესაბამისი გამოკვლევა გამოქვეყნდა ჟურნალ **Annals of internal Medicine**-ში, რის შესახებაც იუწყება აშშ-ის სამხრეთ კალიფორნიის უნივერსიტეტი.

სპეციალისტები დაკვირვებებს ატარებდნენ 190 ათას მოხალისეზე – შავკანიანებზე, იაპონური წარმომავლობის ამერიკელებზე, თეთრკანიანებსა და ლათინოამერიკელებზე. გამოკითხვის მონაწილეები, რომელთა ასაკი გამოკვლევების დაწყების დროისთვის 45–75 წელი იყო, ყავის გამოყენების რაოდენობის მიხედვით სხვადასხვა ჯგუფებად იყვნენ დაყოფილი.

დაკვირვების საშუალო პერიოდი 16 წელი იყო, გამოკვლევების დასრულებისთვის გარდაცვლილი იყო დაახლოებით 60 ათასი ადამიანი, მათ შორის 36 პროცენტი გულ-სისხლძარღვთა დაავადებებით, ხოლო 31 პროცენტი – კიბოთი.

გამოკვლევების შედეგების კორექტირების შემდეG(სქესი, ასაკი, თამბაქოს და ალკოჰოლის გამოყენება, ფიზიკური აქტივობის დონე) აღმოჩნდა, რომ დღეში ერთი ფინჯანი ყავის დალევა საშუალოდ 12 პროცენტით ამცირებს ნებისმიერი მიზეზით სიკვდილიანობის რისკს, ხოლო იმ ადამიანებში, ვინც დღეში სამ ფინჯან ყავას მიირთმევს – 18 პროცენტით.

ამასთან, მნიშვნელობა არ ჰქონდა, შეიცავდა თუ არა ყავა კოფეინს. „ყავაში ბევრი ანტიოქსიდანტი და ფენოლის შენაერთი შედის, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კიბოს პროფილაქტიკაში“,– განაცხადა გამოკვლევების შედეგების შესახებ

კვლევების თანაავტორმა ვერონიკა სეტიავანმა.

სად ცხოვრობენ ადამიანები გარდაცვალების შემდეგ?

ჩრდილოეთ კაროლინის უნივერსიტეტის პროფესორმა რობერტ ლანცმა განაცხადა, რომ გარდაცვალების შემდეგ ადამიანები რომელიღაც პარალელურ სივრცეში ხვდებიან და მათ აღდგომის საშუალება ეძლევათ.

მეცნიერმა ადამიანის სიცოცხლე მცენარისას შეადარა – მცენარე ჭკნება, რათა მალე კვლავ აყვავდეს. თავისი თეორია ლანცმა ბიოცენტრიზმის თეორიის საშუალებით დაამტკიცა.

უფრო ადრე აშშ-ის კალიფორნიის უნივერსიტეტის თანამშრომლებმა განაცხადეს, რომ პარალელური სამყაროები არსებობს, ზოგ სამყაროში დედამიწაზე ჯერ კიდევ დინოზავრები ცხოვრობენ, ზოგან კი ინგლისს ჯერ არ მოუხდენია ამერიკის კოლონიალიზაცია. ამგვარი დასკვნების გაკეთება მეცნიერებმა იმ მიკრონაწილაკების

გამოკვლევის შედეგად შეძლეს, რომელსაც ერთდროულად სხვადასხვა მდგომარეობაში არსებობა შეუძლია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ორ სხვადასხვა სამყაროში არსებობაც შესაძლებელია.

სალვადორ დალის ნეშტის ნარჩენებს მამობის დასადგენად ექსგუმაცია ჩაუტარდება

მხატვარ სალვადორ დალის (1904–1989) ნეშტის ნარჩენებს ექსგუმაცია ჩაუტარდება. პროცედურა 20 ივლისს ჩატარდება. ადრე ეს გადაწყვეტილება მიიღო სასამართლომ, რათა „მიეღოთ ნიმუშები, იმის დასადგენად, იყო თუ არა იგი იმ ქალის მამა“, რომელმაც „შეიტანა სარჩელი, რათა იგი მხატვრის ქალიშვილად ცნონ“.

საქმე ეხება პილარ აბელს, რომელიც კატალონიიდან, ჟირონიდან გახლავთ. იგი ამტკიცებს, რომ დალი მისი მამაა. ქალი 1956 წლის 1 თებერვალს დაიბადა. 2007 წლიდან ცდილობს, იგი მხატვრის ნათესავად ცნონ. ქალბატონის თქმით, მის დედას მხატვართან საიდუმლო რომანი ჰქონდა.

სალვადორ დალი 1904 წლის 11 მაისს დაიბადა. იგი სიურრეალიზმის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ წარმომადგენლად ითვლება. შემოქმედებითი მოღვაწეობის მანძილზე მან ასობით მხატვრული ნაწარმოები შექმნა.

დალი დაქორწინებული იყო ელენა დიაკონოვაზე (1894–1982), რომელიც ცნობილი იყო გალას სახელით. წყვილს შვილები არ ჰყოლია. ფერმწერი 1989 წლის 23 იანვარს გარდაიცვალა ქალაქ ფიგერასში. მხატვრის ნეშტი ფიგერასში მდებარე გალის თეატრ-მუზეუმშია განთავსებული, აქვეა წარმოდგენილი მისი ნამუშევრების დიდი ნაწილი.

ემიგრანტებისთვის ყველაზე საუკეთესო ქვეყანა შვედეთია

ემიგრაციისთვის საუკეთესო ქვეყანა შვედეთი აღმოჩნდა, ყველაზე უარესი – კენია. რეიტინგი ამერიკულმა ჟურნალმა **U.S. News & World Report**-მა შეადგინა 21 ათასი ადამიანის გამოკითხვის შედეგად. გამოკითხულებს უნდა შეეფასებინათ ისეთი მაჩვენებლები, როგორიცაა ეკონომიკური სტაბილურობა, შრომის ბაზარი, ასევე ამა თუ იმ ქვეყანაში საცხოვრებლად გადასვლის საკუთარი სურვილი.

როგორც ჟურნალის რეიტინგიდან გახდა ცნობილი, ქვეყანა, სადაც ემირგანტები ყველაზე უკეთ ცხოვრობენ, შვედეთი აღმოჩნდა. ემიგრანტებისთვის საუკეთესო ქვეყნებს შორის მეორე ადგილზე გავიდა კანადა, მესამეზე – შვეიცარია. გარდა ამისა, ტოპ-ათეულში შედიან: ავსტრალია, გერმანია, ნორვეგია, აშშ, ნიდერლანდების სამეფო, ფინეთი და დანია. რეიტინგში, რომელშიც 80 ქვეყანა შედის, ემიგრაციისთვის ყველაზე ცუდ ქვეყნებს შორის არია კენია, გვატემალა და ტუნისი.

რეიტინგი შეიქმნა U.S. News & World Report-ის მიერ ყოველწლიურად ჩატარებული გამოკითხვის საფუძველზე, რომლის მიზანია, გამოავლინოს ცხოვრებისთვის საუკეთესო ქვეყნები. სულ სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები დაახლოებით 21 ათასი ადამიანი გამოიკითხა.

მაჩვენებლებს შორის, რასაც ემიგრაციისთვის საუკეთესო ქვეყნების რეიტინგის ავტორები აფასებდნენ, იყო – ეკონომიკური სტაბილურობა, შრომის კარგი ბაზარი, თანაბარი შემოსავლები და „ეს ის ადგილია, სადაც ვისურვებდი მეცხოვრა“. გათვალისწინებული იყო, ასევე: ქვეყნის მოსახლეობაში ემიგრანტების წილი (შვედეთში, მაგალითად, ეს წილი 10%-ია), ფულის რაოდენობა, რომლის სახლში გამოგზავნის საშუალებაც აქვთ ემიგრანტებს, ასევე ინტერგაციისთვის გათვალისწინებული ზომები, რომლებსაც ქვეყნის ხელისუფლება ახორციელებს.

მსოფლიო ბანკის გამოთვლებით, 2015 წელს მსოფლიოში 250 მლნ ემიგრანტი იყო, რაც დედამიწის მოსახლეობის 3,4%-ს შეესაბამება. ყველაზე მეტი ემიგრანტი აშშ-ში იყო (46,6 მლნ), გერმანიაში (12 მლნ), რუსეთში (11,6 მლნ), საუდის არაბეთში (10,2 მლნ) და დიდ ბრიტანეთში (8,5 მლნ). ამასთან, ემოგრანტების ყველაზე დიდი წილი მოდის სპარსეთის ყურის ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა: ყატარი (91%), არაბეთის გაერთიანებული საემიროები (88%) და ქუვეითი (72%).

იმ ქვეყნებს შორის, საიდანაც ყველაზე მეტი ემიგრანტი გაედინება, არის: ინდოეთი (15,6 მლნ), მექსიკა (12,3 მლნ), რუსეთი (10,6 მლნ), ჩინეთი (9,5 მლნ) და ბანგლადეში (7,2 მლნ).

ბელა გველესიანი
568 90 81 22

ISSN 2233-3983

9 772233 398001

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39.
E-mail: asavaliprint@yahoo.com